პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

ფასი 5000 მანეთი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა [illegible]
ტელეფონები: რედაქციის კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერთო №

№ 57 კვირა, 12 მარტი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი კვირა 12 მარტი 1922 წ. № 57

ამა წლის 12 მარტს, დღის 11 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაში შესდგება

გაერთიანებული საზეიმო კრება პლენუმების: თბილისის მუშებისა და წითელ არმიელების საბჭოსი, პროფკავშირების საბჭოსი, საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების და გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებისა წარმომადგენლობითი ნორმით 1 კაცი, 25 წითელ არმიელისაგან

დღის წეს-რიგი:

1. წითელი არმიის 4 წლის თავი.
2. თებერვლის რევოლიუციის 5 წლის თავი.
3. გარნიზონის ნაწილებზე შეფობის დაკანონება.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

თბილისის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმისაგან

ამით ვაცხადებთ მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების თბილისის ქალაქის საბჭოს წევრთა საყურადღებოდ, რომ თბილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში, მე-5 № ოთახში, მეცადინეობის საათებში, ამა მარტის 10-დან დაიწყება მოწმობების მიცემა თბილისის ქალაქის საბჭოს წევრებისათვის და ანკეტების შევსება.

საბჭოს ყველა წევრს ვსთხოვთ მობრძანდნენ მოწმობათა მისაღებად და ანკეტათა შესავსებად.

პრეზიდიუმი.

ხუთი წლის თავი

დღეს სრულდება ხუთი წელი რუსეთის მეორე, თებერვლის რევოლიუციისა, რომელიც შესავალი გახდა 25 ოქტომბრის პროლეტარულ გადატრიალების.

5 წლის წინად ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა 1905 წ. დაწყებული ბურჟუაზიული რევოლიუცია, რითაც უკვე დასრულდა ბურჟუაზიული რევოლიუციების ციკლი ევროპაში.

მონარქიული წყობილება რუსეთში იმდენათ ძირმომპალი იყო და მის წინაალმდეგ მიმართული ძალები იმდენათ ძლიერი, რომ ერთი ხელის დაკვრით, და შეიძლება ითქვას, უსისხლოთაც დამხობილ იქნა ის.

ჯერ კიდევ 1905 წ. რევოლიუციამ ჩამოაყალიბა ამ რევოლიუციის ძალები და მიუჩინა მათ თავ-თავისი როლები. და თუმცა მაშინ ის მარცხით დამთავრდა, ვინაიდან არ იყო საკმარისათ ჩანერგილი და განვითარებული მასებში ძველის მაგივრათ ახალი, რევოლიუციონური სულისკვეთებები, მაგრამ მან მაინც დიდი როლი ითამაშა თებერვლის რევოლიუციის გამარჯვებაში. მან გააპოხიერა ნიადაგი მეორე რევოლიუციისათვის, გამოიყვანა პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზზე მუშათა და გლეხთა ფართო მასები და მოამზადა ისინი გამოცდილებით ახალი იერიშების მოსატანათ მონარქიულ რეჟიმზე. მეორე მხრით, 1905 წ. შემდეგ დამდგარმა საშინელ რეაქციის სუსხმა ფარდა ახადა და მის სინათლეზე გამოიყვანა ყველა საზოგადოებრივი კლასები, რომლებიც სხვადასხვა სახით მონაწილეობას იღებდენ 1905 წ. რევოლიუციაში. გამოაშკარავა მან აგრეთვე ნამდვილი გადაგვარებული ბუნება, სიღამპლე და გათახსირება იმ წესწყობილებისა, რომელსაც ფაქტიურათ სათავეში ედგა ისეთი ტიპი, სახელდობრ, რასპუტინი, რომელშიაც სრული და წმინდა გამოხატულება ჰპოვა რომანოვების ხანის დრომოჭმულმა ,,უმაღლესმა‘‘ საზოგადოებამ.

ყველა ამან, რასაც ზედ დაერთო კიდევ საშინელი გამანადგურებელი იმპერიალისტური ომი, ხელი შეუწყო დიდძალი რევოლიუციონური ენერგიის დაგროვებას რუსეთის დაჩაგრულ მასებში და 1917 წ. თებერვალში ჩვენ მოწამე ვხდებით ამ მასების ერთსულოვანი გალაშქრებისა თვითმპყრობელობის დასამხობათ. ეს ძველი წყობილება იმდენათ იყო უკვე დრომოჭმული, იმდენათ არ ეგუებოდა ის ცხოვრების სინამდვილეს, რომ ის რამდენიმე დღეში მოისპო, და რუსეთის განაპირა ქვეყნებმა, როგორც ამას მოსწრებულათ ამბობენ, პირდაპირ ,,ფოსტით მიიღეს‘‘ რევოლიუციის გამარჯვება.

როგორი იყო რუსეთის საზოგადოებრივ კლასების ძალთა განწყობილება ამ ხანებში და რომელი კლასები იყვნენ რევოლიუციონური?

პირველი და უმთავრესი ძალა, რომელიც სათავეში უნდა ჩადგომოდა რევოლიუციას და კიდევაც ჩაუდგა და ღირსეულად დააგვირგვინა ის, იყო მუშათა კლასი, პროლეტარიატი, რომელმაც ერთგული მოკავშირე იპოვა ჯარისკაცის ფარაჯაში გადაცმულ გლეხობაში. მეორე კლასი, რომელიც ერთ და იმავე დროს იყო რევოლიუციონური და მასთან ერთად კონტრ რევოლიუციონურიც, იყო კლასი ბურჟუაზიისა. ეს შეიძლება წინააღმდეგობათ მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით ამას დავინახავთ, რომ აქ არავითარ წინააღმდეგობას ალაგი არ აქვს.

მართლაც, რომ ბურჟუაზია კონტრ-რევოლიუციონურ როლს თამაშობდა თებერვლის ბრძოლებში, იმ მხრივ რომ, რამდენადაც კი მას შეძლება ქონდა, ეწინააღმდეგებოდა რევოლიუციას და მისი მტერი იყო. ეს მგონი დღეს მაინც, არავისათვის სადაო არ უნდა იყოს. სახელმწიფო დუმის თავმჯდომარე როძიანკო რუსეთის ბურჟუაზიის სახელით უგზავნიდა მეფეს შემდეგი შინაარსის დეპეშას: „მდგომარეობა სერიოზულია... სატახტო ქალაქში **ანარქიაა**. აუცილებლად საჭიროა დაუყოვნებლივ მიენდოს პირს, რომელიც სარგებლობს ქვეყნის ნდობით, ახალი მთავრობის შედგენა“.

მეორე დეპეშაში იგივე ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული პარტიების სახელით აცნობებდა ის მას შემდეგს: „მდგომარეობა უარესდება. **მიღებულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივი ზომები**, ვინაიდან ხვალ უკვე გვიან იქნება. დადგა უკანასკნელი საათი, როდესაც სწყდება სამშობლოსა და დინასტიის ბედი“.

ცხადია, ასეთი ბურჟუაზია, რომელიც მეფეს არ ცილდებოდა, ზურგს არ აქცევს არა თუ ლხინში, არამედ ჭირშიაც კი, სულ ერთია, რითაც არ უნდა იყოს ეს გამოწვეული, ე. ი. მაშინ, როდესაც მას უსაშინელესი საფრთხე მოელის აჯანყებულ ხალხისაგან, ასეთი ბურჟუაზია ვერ იქნება რევოლიუციის მხარეზე და მის ძალის შემმატებელი; მას უეჭველად კონტრ რევოლიუციონური როლი უნდა ეთამაშა, ვინაიდან ამას მოითხოვდა მაშინ მისი საკუთარი კლასიური ინტერესები.

მაშ რათ ვუწოდეთ ჩვენ მას რევოლიუციონური კლასი, თუ კი ის კონტრ-რევოლიუციონური იყო?

აი რატომ.

რევოლიუცია (პოლიტიკური) არის ისეთი სახელმწიფოებრივი გადატრიალება, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება გადადის ერთი კლასიდან, რომელიც მმართველ და პოლიტიკურად გაბატონებულ კლასად ითვლება, მეორე კლასის ხელში, რომელიც მანამდე არ ყოფილა მოქცეული სახელმწიფოს საჭეს სათავეში. და რამდენადაც ეს ახალი კლასი ხელთ იგდებს სახელმწიფო ხელისუფლებას იმდენადვეა ის რევოლიუციონური კლასი.

როგორი იყო თებერვლის რევოლიუცია?. ის იყო, როგორც ზემოთ ვთქვით, **ბურჟუაზიულ - დემოკრატიული** რევოლიუცია, რომლის **უახლოეს** მიზანს შეადგენდა დრო მოჭმული მონარქიულის, ნახევრათ ფეოდალური წყობილების დამხობა და მის მაგივრათ **ბურჟუაზიული** დემოკრატიის დამკვიდრება.

და მართლაც ამ რევოლიუციამ გადასცა სახელმწიფო ხელისუფლება ბურჟუაზიას და მით მისცა მას რევოლიუციონური სახე, რომელიც გამოიხატა სწორეთ იმ ხელის-უფლების აღებაში და მოისპო აგრეთვე თვით ამითაც, ვინაიდან, როგორც კი ჩადგა ბურჟუაზია ლვოვის მეთაურობით სახელმწიფო მართვა-გამგეობის სათავეში, დაიწყო რევოლიუციის ახალ ეტაპის, სახელდობრ, დიდი პროლეტარული რევოლიუციის სწრაფი განვითარება და ზრდა, რომელიც რვა თვის შემდეგ, 25 ოქტომბერს (ძვ. სტ.), გამარჯვებით დაგვირგვინდა.

თებერვლის ბურჟუაზიულმა ნაციონალურმა რევოლიუციამ ამ მხრივ დიდი სამსახური და დახმარება გაუწია ოქტომბრის დიდ პროლეტარულ რევოლიუციას, რომელიც ნაციონალური კი არ ყოფილა, როგორც პირველი, არამედ უალრესათ **ინტერნაციონალური**. თუ პირველის პირდაპირი უშუალო ამოცანები იფარგლებოდა ნაციონალურის მასშტაბით, რუსეთის ტერიტორიის მასშტაბით, მეორეს—მთელ ქვეყნიერობას ეხებოდა, ის დასაწყისი იყო საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციისა.

ტყუილათ კი არ არის, რომ ბურჟუაზიული რევოლიუციის ჰიმნი სწორეთ მარსელიოზაა, რომელიც ჩამომავლობით პირდაპირ ნაციონალურია, და მეორე კი ინტერნაციონალი, რომელიც ერთად ერთი პროლეტარიატის და საზოგადოთ მშრომელთა მასების საკუთრებაა, მიუხედავათ იმისა, რომ ეს მასები სხვა და სხვა ერიენებებს ეკუთვნიან.

დღეს, რუსეთის მეორე ბურჟუაზიული რევოლიუციის ხუთი წლის თავზე, ჩვენ ვიგონებთ სწორეთ ამ თებერვლის რევოლიუციას, რომელმაც შეარყია და გაანიავა რუსეთის შავბნელი რეაქცია და მით დასაბამი მისცა პროლეტარული კომუნისტური რევოლიუციის ჩქარ და სწრაფ წინსვლას სრულ გამარჯვებამდე.

დღეს ჩვენ ვიგონებთ და ვდღესასწაულობთ მას არა იმიტომ, რომ მან გააბატონა რუსეთში რამდენიმე თვით იმპერიალისტური ბურჟუაზია და მათი მაჩანჩალა წვრილ ბურჟუაზიული პარტიები, მენშევიკები და ესერები, მშრომელი მასების დასაჩაგრავათ და გასაყვლეფათ, არამედ იმიტომ, რომ მან კიდევ უფრო გაუპოხიერა ნიადაგი პროლეტარულ კომუნისტურ რევოლიუციას და მით საშვალება მისცა პროლეტარიატს, რაც შეიძლება მალე და წარმატებით დაეყვანა ბოლომდე მშრომელთა განმანთავისუფლებელი ის ბრძოლა, პროლეტარული რევოლიუცია, რომელიც ბრწყინვალეთ და ნაყოფიერათ დაგვირგვინდა 7 ნოემბერს (25 ოქტომბ. ა. ს.) 1918. წ.

თებერვლის რევოლიუცია

ომის დამარცხებით მსვლელობამ ბურჟუაზიას თვალები აუხილა ისეთი „მოკავშირის“ მთელი არა საიმედობაზე, როგორიც იყო მეფის მთავრობა. დამარცხებებმა საგრძნობლად გაანელეს მისი „პატრიოტიზმი“ და გამოიწვიეს მის რიგებში ოპოზიციონური განწყობილება. 1916 წლის ნოემბრის დასაწყისში პარლამენტის ტრიბუნის სიმაღლიდან პირველად გაისმა მოთხოვნა „ქვეყნის ნდობით“ აღჭურვილ ახალ მთავრობის დანიშვნისა. შტიურმერი დათხოვნილ იქნა, მაგრამ შემდეგ განმტკიცდა პროტოპოპოვი. მღელვარებამ მოიცვა ქალაქის და საერობო ბურჟუაზია. მთავრობამ უპასუხა ბურჟუაზიის მიერ მოსკოვში დანიშნულ ყრილობის დაშლით. ოპოზიციონური განწყობილება მალე მოედო სასახლის წრესაც. მეფის ოჯახში, მეფის სასახლეში დატრიალებულმა ვაკხანალიამ, რომლის მღვდელ მთავარი იყო რასპუტინი, შეაშფოთა ისინიც კი, ვინც ტახტის გარშემო იდგნენ. სასახლის დიდ მთავრულ წრეებისათვის ცხადი იყო, რომ რასპუტინიადას შეუძლია საბოლოოდ დასცეს „ქვეშევრდომთა“ თვალში თვით მონარქიის იდეა. რასპუტინის მოკვლას, რომელიც სწორედ ამ წრეებიდან გამომდინარეობდა მოყვა სასახლის წარჩინებულთა საიდუმლო თათბირები, ფარული ყრილობები. მზადდებოდა ნიადაგი „სასახლის გადატრიალებისათვის“. ქვედა ფენებში, მუშათა კლასში, იზრდებოდა უკმაყოფილება, რომელიც იმუქრებოდა აჯანყებად გადაქცეულიყო. ბურჟუაზიას უხდებოდა აერჩია „სასახლის“ და „სახალხო“ რევოლიუციას შორის და ის დიდ ხანს ყოყმანობდა. ბურჟუაზიამ და წარჩინებულმა წრემ ძალიან მალე შეიგნეს რომ არსებულ პირობებში ისინი „ბუნებრივი“ მოკავშირეებია. მონარქიის განახლება, ერთი მონარქიის მაგივრად მეორის წამოსკუპება—ამაში იყო ხსნა ბურჟუაზიისა და დიდებულთათვისაც როგორც გარედან დამუქრებულ სამხედრო განადგურებისაგან, ისე რევოლიუციისაგან, რომელიც ქვემოდან იმუქრებოდა. „საზოგადო მოღვაწეთა“ ერთ ერთ ფარულ თათბირზე მოსკოვში კადეტთა პარტიის ერთმა თვალსაჩინო მეთაურმა გულახდილად განაცხადა—გამოხატა რა ამ წრეების საერთო განწყობილება—„უკეთესია კავშირი სასახლესთან, ვინემ „ხელიხელ ჩაკიდება ხალხთან“, „უკეთესია სასახლის გადატრიალება, ვინემ რევოლიუცია“. ხოლო რევოლიუცია სულ უფრო თამამად სწევდა ზევით თავს. პეტროგრადის მუშები ღელავდნენ და ძლივს იკავებდნენ თავს. თებერვლის შუა რიცხვებში (14) სახელმწიფო სათათბირომ ბურჟუაზიულ პარტიების პირით კვლავ დაილაპარაკა მთავრობის შეცვლის აუცილებლობაზე, ხოლო მუშებმა გადასწყვიტეს სიტყვიდან მოქმედებაზე გადასვლა, დანიშნეს რა 17 თებერვლისათვის მასსიური დემონსტრაცია რომლის მოწყობა ვერ მოხერხდა. სასურსათო კრიზისი დედა-ქალაქში სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა. მუშათა მოთმინების ფიალა აივსო.

23 თებერვალს პეტროგრადის პროლეტარიატი გამოვიდა ქუჩაში „პურის“ მოთხოვნით. ამ დღიდან დაიწყო ჩვენი მეორე, **თებერვლის** რევოლიუცია, ისე როგორც პეტერბურგის მუშების გამოსვლით 1905 წ. 2 იანვარს დაიწყო პირველი რევოლიუცია. 24 თებერვალს შეჩერდა ყველა ქარხანა. მოხდა პირველი შეტაკებები მუშებსა და პოლიციელებს შორის. ძველ, 1905 წლით ნაცნობ სურათში, იყო ახალი მოულოდნელი ხაზებიც: კაზაკებმა ამ დღეს უარი განაცხადეს იარაღის ხმარებაზე ხალხის წინააღმდეგ. 25 თებერვალს აქა იქ დედა-ქალაქის მოედნებსა და ქუჩებში ნამდვილი ბრძოლები იმართებოდა. სიმშილის ნიადაგზე აღმოცენებული მოძრაობა ღებულობდა სულ უფრო პოლიტიკურ ხასიათს. „პურის“ მოთხოვნა იფარებოდა ძახილით „ძირს მეფის მთავრობა“. ხალხის თავზე უფრო ხშირად ფრიალებდნენ წითელი დროშები. აჯანყება შეუჩნევლად ედებოდა ჯარების რიგებს. პირველად ამოძრავდნენ ვოლინელები ხოლო მათ შორის პირველად ზემდეგი ტიმოთე კირპიჩნიკოვი. 26 თებერვალს მთავრობამ გადასწყვიტა გადასულიყო შეტევაზე დაწყებულ რევოლიუციის წინააღმდეგ. ქუჩებში გაკრულ იქნა გენერალ სოკოლოვის განცხადება, რომელიც კრძალავდა ყოველგვარ კრებას და მთავრდებოდა გაფრთხილებით, რომ „ჯარებს ნაბრძანები აქვთ მიმართონ იარაღს და არ შეჩერდნენ არაფრის წინაშე წესიერების აღსადგენად დედაქალაქში“. 3 საათზე დედაქალაქს დაუშინეს თოფები და ტყვიისმფრქვეველები. ისროდნენ ქუჩების გასწვრივ „ზალპებად“, ისროდნენ ზევით სახლებიდან, ისროდნენ კოშკებ დან. ქალაქში გამეფდა სისხლიანი ჯოჯოხეთი. 27 თებერვალს ჯარები გარკვევით დადგნენ აჯანყებულ მუშების მხარეზე, ვოლინელების შემდეგ მთავრობა მიატოვეს პოლკებმა: ლიტოვის, კექსგოლმსკის, პრეობრაჟენსკის, მესანგრეებმა. თვითმპყრობელობის საქმე აშკარად წაგებული იყო. რევოლიუცია გამარჯვებას დღესასწაულობდა. „მეფის სოფელში“, სადაც ცხოვრობდა დედოფალი ოჯახით, დღითი-დღე იზრდებოდა მოუსვენარი მდგომარეობა. აქედან ბანაკში იგზავნებოდა დეპეშები, რომელნიც ცოცხლად ასურათებდნენ მოუსვენრობის და სასოწარკვეთილების ამ ზრდას. 25 თებერვალს დილით დედოფალი ჯერ კიდევ დარწმუნებულია, რომ „ქალაქში სრული სიწყნარეა“. იმავე დღეს საღამოზე იგი უკვე აცნობებს მეფეს: ,ქალაქში საქმე ძალიან ცუდათაა‘‘. 26 თებერვალს: „ფრიად მაშფოთებს ქალაქის მდგომარეობა‘‘. მეორე დღეს უკვე გამეფებულია ბოროტი წინაგრძნობა: ,,რევოლიუციამ მიიღო შემაძრწუნებელი ხასიათი‘‘. ხოლო ორი საათის შემდეგ მისთვის უკვე ცხადია, რომ საქმე წაგებულია, რომ დადგა ყოველ მხრივ მძიმე დრო, რომ ერთად-ერთი ხსნა, ესაა დათმობები. „დათმობები აუცილებელია‘, — არწმუნებს იგი ქმარს, მაგრამ უკვე გვიან იყო; **27** თებერვალს რევოლიუციონერებმა აიღეს მთავრობის ყველა სიმაგრენი დედაქალაქში—თოფხანა, მთავარი საარტილერიო სამმართველო, პეტრეპავლეს ციხე, საიდანაც გაანთავისუფლეს პოლიტიკური პატიმარნი, ხოლო 28 თებერვალს გამარჯვებული რევოლიუცია მოედო „ცარსკოეს“, სადაც აჯანყდა გარნიზონი.

მაგრამ ვერ მოასწრო მან გამარჯვება, რომ ცხადად და ძალუმად იჩინეს თავი იმავე კლასობრივმა წინააღმდეგობებმა, რომელნიც ოდესღაც შეადგენდნენ ჩვენი პირველი რევოლიუციის საფუძველს. აუცილებელ ისტორიულ კანონების ძალით ქვეყნის განთავისუფლება შეიძლებოდა მომხდარიყო პროლეტარულ აჯანყების, და არა ბურჟუაზიულ გადატრიალების დროშის ქვეშ. და ერთბაშად დადგნენ ერთი მეორის ახლოს, ერთი მეორის წინააღმდეგ ორი ორგანიზაციული ცენტრი, ასე ვთქვათ ორი მთავრობა.

27 თებერვალს, როცა ბურჟუაზიულ სახელმწიფო სათათბიროსათვისაც უეჭვო შეიქნა, რომ რევოლიუციამ გაიმარჯვა, მან გამოყო თავის წრიდან „დროებით აღმასრულებელი კომიტეტი“, რადაც წინასწარი „დროებითი მთავრობის“ მზგავსი. კომიტეტში შევიდა მხოლოდ ორი სოციალისტი: მენშევიკი ჩხეიძე და ს.-რ. კერენსკი, დანარჩენი ყველა იყვნენ ბურჟუაზიის ხორცი ხორცთაგანი (როძიანკო, მილიუკოვი, შულგინი, კარაულოვი, კონოვალოვი, დმიტრიუკოვი, რჟევსკი, შიდლოვსკი, ნეკრასოვი, ლვოვი და პოლკ. ენგელგარდტი).

იმავე დღეს, 27 თებერვალს, როცა შესდგა ბურჟუაზიული „დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი“, დაარსდა პეტროგრადში მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭო—1905 წლის მუშათა დეპუტატების საბჭოს მსგავსად. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ჩხეიძე, თავმჯდომარის ამხანაგად—კერენსკი. ასეთივე საბჭოები შესდგა შემდეგ მოსკოვშიაც და პროვინციაშიაც, ისინი ზოგჯერ არსებობდნენ განცალკევებულად, როგორც ორი დამოუკიდებელი საბჭო, ან ერთდებოდნენ ერთიან საბჭოდ.

ამ გვარად ორი, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აღმოცენებულ ორგანიზაციულ ცენტრის—ბურჟუაზიის ორგანოს—„დროებითი აღმასრულებელ კომიტეტს“ და დემოკრატიის ორგანოს—„მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს“ წინაშე მთელი თავის სიგრძე-სიგანით წამოიჭრა ამოცანა ახალი ხელისუფლების შექმნისა.

ასე აღმოცენდა 2 მარტის) პირველი შემადგენლობის **დროებითი მთავრობა**. მასში შევიდნენ—ერთის გამონაკლისით კერენსკი, მხოლოდ ბურჟუაზიულ ჯგუფების და პარტიების წარმომადგენელნი. ახალ მთავრობამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიც აუწყა მოსახლეობას „ახალი საზოგადოებრივი კაბინეტის“ შექმნა და დანიშვნა მასში ისეთი პირებისა, „რომლებისადმი ქვეყნის ნდობა უზრუნველყოფილია მათი წარსული საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობით“.

შესაძლებელია, დემოკრატიის მხრით შეცდომა იყო **უარისთქმა** ხელისუფლებაზე, მაგრამ უკვე აუცილებელი შეცდომა იყო მასი მხრით, შეცდომა, რომელსაც მოაქვს გართულებანი, უარისთქმა უფლებაზე არ დასთანხმებულიყო ,,აშკარად არასასურველ, რევოლიუციისადმი აშკარად მტრულად განწყობილ და საშიშ‘‘ კანდიდატებზე (როგორც გუჩკოვი მილიუკოვი). შეადგინა რა ახალი ხელისუფლება თავის წრიდან, ბურჟუაზიამ, მიუხედავად ამისა, იკისრა შემდეგი მუხლებისაგან შემდგარი პროგრამის შესრულება, რომელიც წაუყენა ან მოახვია მას დემოკრატიამ. 1) სრული ამნისტია ყველა პოლიტიკურ და სარწმუნოებრივი საქმეების გამო, 2) სიტყვის, ბეჭდვის, კავშირების, კრებების და გაფიცვების თავისუფლება, 3) ყველა წოდებრივი, სარწმუნოებრივი და ნაციონალურ შეზღუდვათა გაუქმება, 4) პოლიციის შეცვლა სახალხო მილიციით, 5) არჩევნები ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში ოთხწევრიან ფორმულის საფეხურზე; 5) განუიარაღებლობა და გაუყვანლობა დედა-ქალაქიდან რევოლიუციონურ ჯარებისა, 7) მოსპობა ჯარისკაცთათვის ყველა შეზღუდვისა სამოქალაქო უფლებებით სარგებლობაში და, ბოლოს, 8) დაუყონებლივი სამზადისი საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირი და ფარული საარჩევნო ხმის მიცემის საფუძველზე დამფუძნებელ კრების მოწვევისათვის, რომელიც დააწესებს ქვეყნის მმართველობის ფორმას და კონსტიტუციას“.

ამგვარად თითქო იყო მიღწეული „შეთანხმება“ ბურჟუაზიასა და დემოკრატიას შორის, რომელნიც იდგნენ ერთი-მეორის ახლოს, ერთი-მეორის წინააღმდეგ ურთიერთისადმი უნდობლობით. მაგრამ შეთანხმება იყო მხოლოდ მოჩვენებითი, და ყოველ ნაბიჯზე თავს იჩენდა საზოგადოების ორგანიზმში ჩამარხული შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობანი—რევოლიუციონური პროცესის მატარებელნი და მამოძრავებელნი. განსაკუთრებით ორ მთავარ საკითხში გამოაშკარავდა ეს წინააღმდეგობა, ორ საკითხში, რომელნიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი თვით რევოლიუციასთან, ეს იყო პირველ ყოვლისა მმართველობის ფორმის საკითხი. იმაში, რომ ნიკოლოზ მეორის ბატონობა გათავდა, რომ ის უნდა იყოს ჩამოგდებული,—ამაში ერთნაირად თანახმა იყვნენ ბურჟუაზიაც და დემოკრატიაც მაგრამ მაშინ, როცა უკანასკნელი აპირებდა რესპუბლიკის გამოცხადებას, პირველი იცავდა მონარქიას.

მოწიწებითი დამოკიდებულება ბურჟუაზიისა, მონარქიისადმი იმდენად დიდი იყო, რომ, ჩამოაგდო რა ნი-

ბრძოლა შიმშილობასთან

განცხადება

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პროსპექტზე ყოფილ რაფაელოვის სახლში № 24 ტელეფონი № 15—46, სადაც ღებულობს ყოველგვარ შემოწირულებებს საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ.

შემოწირულებანი

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტში შემოვიდა შემდეგი შემოწირულებები საქართველოს დამშეულ გლეხ-კაცობის სასარგებლოდ:

1 ნახიჩევანის სოც. ს. რესპუბ. ეკონომიური წარმომადგენლობისაგან საქართველოში და მთელ ამიერ-კავკასიაში:

ახი ფუთი მარილი.

2) სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციის თანამშრომლებისაგან ერთი კვირა დღის ნამუშევრის ჯილდო—14,806,673 მან.

3) ს. ს. ს. რ. საგანგებო დანიშნულების შტაბის თანამშრომლებისაგან 10—15 პროც. თებერვლის ჯამაგირებიდან—1,477,000 მან.

4) ამხ. გრიგოლ მაქ. ქოქაშვილისაგან 1 გიმნასტიორკა.

მთავარი კომიტეტი უცხადებს ულრმეს მადლობას აღნიშნულ პირთ.

საქართველოს დამშეულთა მთავარ კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე მოსულია შემდეგი დეპეშები:

ზესტაფონიდან

მიღებულია ორი ვაგონი სიმინდი. ერთი ვაგონი დარიგებულია, მეორე რიგდება. ფულის აღება სიმინდზე შეძლებელია, ვინაიდგან სიმინდი რიგდება უკიდურეს გაჭირვებულებზე. დამშეულთა რიცხვი ძლიერდება. საჭიროა ჩქარი დახმარება სიმინდის გადმოზიდვით.

დამშეულთა კომიტეტის წევრი შორაპნის სასურ. კომისარი **ნიკურიძე.**

ბორჯომიდან

ბორჯომის ხეობის გლეხობა დამშეულია. ვისაც რა აქვს ყიდის. საჭიროა დახმარება სასწრაფოდ. უნდა იქნეს ჯერ ერთი ვაგონი სიმინდი გამოგზავნილი უფრო გაჭირვებულების დასახმარებლად.

აღმასკომის თავმჯდომარე **რუხაძე.**

კოლოზ მეორე, დროებითი მთავრობამ დასტოვა იგი ხელუხლებლად, ასე რომ მას შეეძლო არა მარტო თავისუფლად გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეში, არამედ მიმოწერის თავისუფლად წარმოება „ცარსკოე სელოსთან", ყოფილ დედოფალთან, ისიც შიფრიან დეპეშებით. საჭირო შეიქმნა ახალი ზედგავლენა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მხრით, რათა მეფე უვნებელი გაეხადათ. დროებითი მთავრობა იძულებული შეიქნა გამოექვეყნებია (7 მარტს) დადგენილება, რომელიც იწყებოდა სიტყვებით: „ცნობილ იქნას ტახტზე ხელაღებული იმპერატორი ნიკოლოზ II და მისი მეუღლე თავისუფლებას მოკლებულად და მოიყვანონ ყოფილი იმპერატორი „ცარსკოე სელო"-ში.

რუსეთი ფაქტიურად იყო რესპუბლიკა, და ეზადებოდნენ შეღებილიყვნენ რესპუბლიკანური ფერით უწინდელი მონარქისტები—კადეტთა პარტიის წევრები. კიდევ ერთ საკითხში, რომელიც მჭიდროთაა დაკავშირებული რევოლიუციის წარმოშობასთან, არსებითად განსხვავდებოდნენ ბურჟუაზიის და დემოკრატიის შეხედულებანი. ბურჟუაზია მონაწილეობდა რევოლიუციაში არა იმისთვის, რათა ბოლო მოეღო ომისათვის, არამედ, პირიქით, იმისთვის, რათა მიეღო შესაძლებლობა უფრო წარმატებით განეგრძო ის, განეგრძო „გამარჯვებამდე". მაგრამ მუშებმა და ჯარისკაცებმა იმიტომ კი არ მოახდინეს რევოლიუცია, რომ განეგრძოთ ომი, რომელიც გამოსადეგი იყო მხოლოდ მოიჯარადრეებისათვის და მტაცებელ იმპერიალისტებისათვის. დემოკრატიისათვის რევოლიუცია იყო საშუალება ბოლო მოეღო არა მარტო მონარქიისთვის, არამედ ომისთვისაც.

და აი 14 მარტს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ გამოაქვეყნა თავისი უკვდავი მიმართვა „მსოფლიოს ხალხებისადმი", ეს შესანიშნავი ისტორიული დოკუმენტი, რომელშიც რევოლიუციონური დემოკრატია ომს უცხადებდა ომს და კვლავ, ასე ხანგრძლივი დროგამოშვების შემდეგ ზევით სწევდა საერთაშორისო ძმობის, მსოფლიოს ყველა მშრომელთა ძმობის დროშას, ინტერნაციონალის წითელ დროშას. „ჩვენ მივმართავთ ყველა ხალხებს, რომელნიც წყდებიან და ნადგურდებიან უსაშინელეს ომში",—იყო ნათქვამი ამ კლასიკურ მოწოდებაში. „ჩვენ ვაცხადებთ, რომ დადგა დრო დავიწყოთ გადამწყვეტი ბრძოლა ყველა ქვეყნის მთავრობების მტაცებლურ მისწრაფებებთან, დადგა დრო ხალხებმა თავის ხელში აიღონ ომის და ზავის საკითხის გადაჭრა".

ასე შორდებოდნენ ერთმანეთს ბურჟუაზია და დემოკრატია არა მარტო მმართველობის ფორმის საკითხში, არამედ ომის გაგრძელების საკითხშიც კლასობრივი წინააღმდეგობა სრულ უფრო ცხადად და მკვეთრად იჩენდა თავს, და ვერც კი მოასწრო დემოკრატიამ დაემარცხება ბურჟუაზია მმართველობის ფორმის საკითხში, მიაღწია რა არა მარტო ნიკოლოზის, არამედ მიხეილის მიერ მეფობაზე ხელის აღებას,—რომ უკვე გაჩაღდა ომის საკითხის გამო ახალი ბრძოლა ბურჟუაზიულ რუსეთსა და მუშურ-გლეხურ რუსეთ შორის. შეურიგებელ ანტაგონიზმით შეეჯახენ მონარქიის და რესპუბლიკის იდეების შემდეგ—იმპერიალიზმის და ინტერნაციონალის იდეები.

ნარევი

ოსმალეთის მუშებს შორის.

ახლახან კონსტანტინოპოლში მოხდა საკმარისათ დიდი შეტაკება მუშათა ორ ჯგუფს შორის, რომლებიც ეკედლებიან, ოსმალეთის ე. წ., სოციალისტურ პარტიას. ერთი იმ სახალხო გემის მატროსებმა და მუშებმა, რომელიც აკეთებს რეისებს ქალაქსა და ბოსფორის ნაპირებს შორის, გალახეს ზემოხსენებული პარტიის თავმჯდომარე ხილმინი, როდესაც ის ბრუნდებოდა კონცერტიდან, რომელიც მოწყობილ იქნა ანატოლიის მილისტების სასარგებლოთ არნაუდ-კეიში ბოსფორის ნაპირას.

ოსმალეთის სოციალისტურ პარტიას, რომელიც დაარსებულ იქნა ხილმიეს მიერ, როგორც ლეგალურ პარტიას საკმარისათ ბევრი მომხრეები ყავდა, ხოლო მისი განყოფილებები კი არსებობდენ მცირე აზიის ბევრ ქალაქებში. ამ პარტიაში შედიოდენ უმთავრესათ რკინის გზელები, საზღვაო ტრანსპორტის მუშები, მათ რიცხვში მატროსები და მუშები შინაურ მიმოსვლისა (სრუტეებისა და მარმარილოს ზღვის), მენავეები და ხამმალები (მტვირთავები) კონსტანტინოპოლის ნავთსადგურის. მილისტების გამოყოფის შემდეგ მან დაჰკარგა კავშირი მცირე აზიის განყოფილებებთან, რომლებიც შემოკრბენ ამ პარტიის ესკი შეგირის კომიტეტის გარშემო, გამოაცხადეს ის ცენტრალურ კომიტეტათ და დაიწყეს დამოუკიდებლათ მოქმედება. ამ გვარათ ამ პარტიის კონსტანტინეპოლის ცეკა პროვინციალურ განყოფილებების გარეშე დარჩა და იძულებული გახდა შემოეფარგლა თავისი მოღვაწეობა განსაკუთრებით და მარტო სატახტო ქალაქში მუშაობით. მაგრამ აქაც გაუჩნდენ მას მეტოქეები.

დროებითი ზავის შემდეგ, აშკარათ თუ ფარულათ დაიწყეს შეკავშირება სხვა მუშათა კომიტეტებმა, შემდეგში პარტიებმაც, როგორც, მაგალითად, სოციალ-დემოკრატიულმა, მუშურ-გლეხურმა და სხვ., რომლებიც უკანასკნელ ხანებში აფერხებდენ ხილმის პარტიის განვითარებას. განსაკუთრებით მეორე, როგორც უფრო რევოლიუციონური და 3 ინტერნაციონალის მაღიარებელი, მიუხედავათ თავის არა-ლეგალობისა სულ უფრო და უფრო იპყრობდა კონსტანტინოპოლის მუშათა მასების ფართო წრეების სიმპატიებს.

მუშები ბრალს დებენ ხილმის, რომელიც პარტიის მუდმივი თავმჯდომარე იყო დღიდან მისი დაარსებისა, ფულის ანგარიშის არ ჩაბარებაში, მუშებისადმი ცუდათ მოპყრობაში, პარტიიდან ძველი ამხანაგების, რომლებიც მას არ მოსწონდა, თვითნებურათ გამორიცხვაში, და საერთოდ, პარტიის მონოპოლიზაციაში. უკანასკნელ ხანებში მუშებმა ეჭვი აიღეს მის თანამშრომლობაში ინგლისელებთან. ხილმია ხშირათ აქეზებდა მუშებს გაფიცვებზე, ხანდისხან მუშების დაუკითხავათაც თვითნებურათ აცხადებდა გაფიცვებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მარცხით თავდებოდა, და ეს იწვევდა მუშების აღშფოთებას. მეორე მხრით, მუშები განცვიფრებაში მოდიოდენ: საიდან აა რომ პარტიის ღარიბ კასაში არის საშვალებები ვებერთელა ხარჯების დასაფარავათ გაფიცვების დროს, რომლებიც ხანდისხან მთელი კვირაობით გრძელდებოდა. როდესაც სოციალისტმა ხილმიამ გადაიღო სურათი ინგლისის პოლკოვნიკთან, ინგლისის საიდუმლო პოლიტიკურ საქმეთა კონსტანტინოპოლის აგენტთან ერთან, მუშებში აღშფოთებას საზღვარი აქ ქონდა და მათ მასიურათ დაიწყეს პარტიიდან გასვლა, სდებდენ რა ბრალს ხილმიას იმაში, რომ ის საიდუმლოთ მუშაობს ინგლისის კონტრ-რაზვედკასთან კონტაქტში, რომელიც აწვდის მას ფულებს გაფიცვებისათვის.

ხილმიას სოციალისტურ პარტიიდან გავიდა 400-დე მისი წევრი, განსაკუთრებით გემთა კომპანიის: „შირკეტი—ხეირიას" მატროსებისა და მუშებიდან. № 66 გემის მუშებმა გადასწყვიტეს მასდიონ ამხანაგებს და ისარგებლეს რა, რომ ხილმია გემზე იყო, დაუბრუნეს მას საწევრო ბილეთები. ხილმიამ ვარი თქვა ბილეთების მიღებაზე და განაცხადა, რომ ისინი უნდა დააბრუნონ თავიანთ რაიკომებში. მატროსები და მუშები დაჟინებით იცავდენ თავის აზრს, დავა გახურდა და შედეგათ ხილმია გალახულ იქნა. ძალიან გალახვის შემდეგ უნდოდათ მისი გადაგდება ზღვაში, მაგრამ ამას ხელი შეუშალა ხალხმა, რომელმაც ძლივს-ღა შესძლო დასისხლიანებული „ლიდერის" დახსნა გააფთრებულ მუშების და მატროსების ხელიდან.

გაიგო რა ეს ნავთსადგურის მუშების ნაწილმა, რომელიც ერთგული დარჩა ხილმიის, გადასწყვიტა შურისძიება მათი ლიდერის გალახვის დამნაშავეებზე და შეიკრიბა ნავთსადგურში გალათის ხიდთან, სადაც ჩერდება „შირკეტე ხეირიას" გემები აქ კი გაჩაღდა ბრძოლა. პირველათ პოლიცია უძლური იყო, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც უკვე ბევრი დაჭრილები იყვნენ, პოლიციისა და ჟანდარმების ძლიერმა რაზმმა ანტანტის „წესიერების დამცველების" დახმარებით შესძლო შეეწყვიტა ბრძოლა და გაეფანტა მუშები. ბრძოლის დროს შეწყდა ტრამვაის მოძრაობა, დაიხურა გალათისა და სერკეჯის დუქნები: პანიკა იყო არაჩვეულებრივი. დაატუსაღეს ბევრი, როგორც ერთი, ისე მეორე მხარედან.

კონსტანტინეპოლის ყველა ოსმალური გაზეთები აღწერს ამ ამბავს დაწვრილებით, მაგრამ უკომენტაროთ. მხოლოთ გაზეთი: „ტუღუზიდეევკარი" სხვათა შორის აღნიშნავს, რომ არ გადის არც ერთი დღე ისე, რომ კონსტანტინეპოლის საზოგადოებრივ აზრი არ იყოს მიქცეული მუშათა საკითხზე: ხან პარტიული შუღლი, ხან მუშების მუქარა გაფიცვით, და ხან კი შეტაკებები... ამ ამბავის გამო მუშებს კონსტანტინეპოლში ეჩნევად დაბნევა და არევ-დარევა, ისინი მხურვალეთ არჩევენ ამ კითხვას და ეძიებენ გამოსავალს შექმნილ მდგომარეობიდან. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მემარცხენე ორგანიზაციები არ გაუშვებენ ხელიდან შემთხვევას განუმარტონ და მიუთითონ მუშებს ჭეშმარიტი გზა თავისი მიზნების განსახორციელებლათ და გამოიყვანებენ მათ საბოლოოთ სოციალისტ შეთანხმებლების, ანდა თუ გინდ ანტანტის უბრალო აგენტების გავლენიდან.

მეტად მსხვილი შემთანხმლებელი მუშათა ორგანიზაცია ოსმალეთში კვდება თავისი ბუნებრივი სიკვდილით; და ბოსფორისა და მარმარილოს სანაპიროებზე ჩვენ გვაქვს რევოლიუციონური მოძრაობა. მაგრამ ეს ანატოლიის მილისტების მოძრაობა კი არაა, არამედ კლასიური, მუშათა მოძრაობაა, ამიტომ უფრო ახლო ჩვენთან.

შ. მანატოვი.

(მოსკოვის „იზვესტია" № 32).

კატორღელების ყოფა-ცხოვრებიდან

ძამიკო მიხა!. ყველა შენ წერილში მთხოვ, რომ გაგაგებინო ჩემი და ყველა აქ მომწყვდეული ამხანაგების ყოფა-მდგომარეობა და საკატორღო ციხის პირობები.

მეც ვასრულებ შენს თხოვნას და გწერ ჩვენი, კატორღელების, ყოფა-მდგომარეობაზე თუმცა ძნელია ჩვენთვის ვრცელი წერილის მოწერა, მაგრამ ვეცდები რამდენადაც კი შეიძლება, გაცნობო ყოველიფერი. გწერ პაპიროსის ქაღალდზე.

იაროსლავის დროებითი კატორღის ციხე და მისი ადგილ-მდებარეობა.

იაროსლავში არის „კაროვნიკის" ციხე.

ეს სახელი ეწოდება ერთ პატარა სოფელს, ახალ-შენს, რომელიც გაშენებულია ორი ვერსის მოშორებით ქალაქიდან მდინარე ვოლგის ნაპირას დაბლობ და ჭაობიან ადგილზე, ციხის ადმინისტრაცია, მთლათ მისი მოხელეები, ოსტატ ხელოსნები, სულ ყველა, აქ, ამ ახალშენში, სცხოვრობენ.

გაზაფხულობით, როდესაც ყინული დაიძვრება და ამობოქრებული მდინარე კალაპოტში ვეღარ ეტევა, წყალი ნაპირებიდან ორ სამ ვერსის მანძილზედ წალეკს ხოლმე დაბლობ მიდამოებს; ამ დროს ჩვენი „კაროვნიკიც" გვარიან დიდხანს მთლათ წყალში ქყუპალაობს და მიმსვლელ მომსვლელნი როგორც ციხეში, აგრეთვე კერძო სადგომებში ნავებით მიდი მოდიან წყლის კალაპოტში ჩავარდნის შემდეგ, ამ ახალ-შენში რჩება ბევრი ჭაობები, ამიტომაც ეს მიდამო, როგორც ჭაობებიანი და ნოტიო ადგილი, ციებცხელების ბუდე არის.

ჩვენი ციხის ტუსაღთა რიცხვი 900—1100 ადის წელიწადში და 2—3 ეტაპამდე იგზავნებიან ზოგი ამურის რკინის გზაზედ და ზოგიც სხვა ციხეებში სამუშაოთ, აქაური ტუსაღთა ბუდე ივსება ახალ მოყვანილი პატიმრებით, სხვა და სხვა ციხეებიდან და ვინც კი ამ ციხიდან თავს აღწევს ე. ი. ვისაც კომისია სცნობს ჯანსაღათ სადმე სხვაგან გასაგზავნათ, სამუშაოთ, ამგვარი ტუსაღის სიხარულს არა აქვს საზღვარი, თავს სთვლის ბედნიერათ თითქმის თავისუფლებასთან სწორათ, რადგან ამ ჯოჯოხეთ ალაგს შორდება; ან კი როგორ არ გაუხარდეს აქედან გაშორება, როდესაც თვით გამოსცადა მხეცური სისასტიკე აქაური ადმინისტრაციისა.

ყოველი აქაური ადმინისტრაციის პირი, მათ რიცხვში მედიცინის წარმომადგენელები და ქარხნის ოსტატებიც ცოფიანი ნადირის ჟინით არიან მხოლოდ მოცულნი. ერთათ ერთი მათი მეცადინეობა იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება ბევრი და ძლიერ აწამონ ტუსაღი ფიზიკურათ თუ ზნეობრივათ, და ქონებრივადაც; მათ სისასტიკეს ისიც ამტკიცებს, რომ როდესაც ციხეების ინსპექტორი მოდის ციხის დასათვალიერებლათ, მხოლოდ იმას ემდურება და უჯავრდება ციხის უფროს მოხელეებს, რომ ცოტა ტუსაღები დაგისჯიათ და ისიც მსუბუქათო. შემდეგში ასეთი მცირედი დასჯილთა რიცხვი აღარ დამანახვოთ თორემ, ვაი თქვენი ბრალიო.

ამის შემდეგ რაღა თქმა უნდა, რომ მონებსაც, ზოგს ალაგის დაკარგვის შიშით და ზოგსაც ერთგულობის დასასამსახურებლად—არავითარი ზნეობრივი გრძნობები აღარ აკავებს უბრალო პატიმრის დასასჯელად. უფლება რომ განუსაზღვრული აქვთ მიცემული, რასაც უნდა მოუგონებენ და უზომენ ტუსაღს, პასუხს ვინ მოსთხოვს?

თვითონ-აქაურ ტუსაღებს ბრძოლის შნო და ენერგია მთლად გამოცლილი აქვთ, გონივრული ბრძოლა კი არა, უბრალო პროტესტიც კი ვეღარ შეუძლიათ, იგინი იქამდის არიან დაცემულნი და დასუსტებულნი ყოველ მხრივ, აქაური მეტის-მეტი სასტიკი მდგომარეობის ზეგავლენით. სახუმარო არ არის ყოველ უბრალო რაზედმე „სკიდკის" წართმევა, ლანძღვა, გინება, ფულით დაჯარიმება, ჩუმათ კარცერებში ცემა, აშკარად გაროზგვა და კარცერში ჩაგდება 2 და 60 დღემდე. მერე ისიც უნდა ითქვას, რომ აქაური კარცერი არაფრით ჩამორჩება საყინულეს. ასეთი არის ნათელი კარცერი. ხოლო ბნელი კი ბაღლინჯოების და ათასი სხვა-გვარი ჭიების სამფლობელოა.

როგორც ისე დასჯილს აგრეთვე გაროზგილს შემდეგ გაწკეპლისა შეაგდებენ კარცერში, უკან ტანზე წკეპლისაგან დასერილი იარებიდან სისხლი სდით, მის წვა-დაგვაზედ ერთვის ადამიანისაგან ადამიანის გათახსირების გრძნობა და საშინელი კარცერის სიცივე, სიცივეს უფრო აორკეცებს ტიტველა ფეხებზედ რკინის ხუნდები (კარცერში ჩაგდების დროს ფეხსაცმელს და თასმას, რითაც ჯაჭვებს იბამენ წელზედ ართმევენ) აგიტანს სიცივე—კანკალი, გული და გონება გელევა ტკივილებით, ჯდომა ვერ შეგიძლიან, სიარული, არც მხარ თეძოზე თუ ზურგზედ წოლა, მხოლოდ მუცელზედ დაწოლილი შეგიძლიან იქნე, მაგრამ ვაი ამ წოლას, გმინვა და წუხილი ტვინს გიღრღნის. ხშირად ხდება, რომ ვეღარ უძლებს ადამიანის წვალებას და თავს იბაწრავს დახეულ პერანგის ყულფით.

საზოგადოთ სასჯელი აქაური ციხის ადმინისტრაციისაგან სულ ადვილათ იშოვება. აი მაგალითი: ზედამხედველმა (ნადზირატელმა) კარების სანათურიდან შემოიხედა და შენ მალე ვერ მოასწარ ფეხზე წამოდგომა ან დაგინახა, რომ სარკმელთან ან კარებთან სდგეხარ ან აი რაზედ დასაჯეს 11 ტუსაღი: 3 პატიმარს ათ-ათი წკეპლა დაჰკრეს დ 8 მხოლოდ კარცერით დატუქსეს ზედამხედველმა შემოიხედა და დაგინახა 4 ტუსაღი ერთათ (თუმცა კარგად იცოდა, რომ ერთათ შეყრილნი იყვნენ საუზმისთვის) დაშლა და დაცალკევება უბრძანა. რადგან ტუსაღებმა ანაზდეულათ ვერ შეასრულეს მისი ბრძანება, ეწყინა ზედამხედველმა და გააკეთა

შთაბეჭდილებანი

წერილი პირველი

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შედეგები, მიუხედავათ მისი არა ხანგრძლივი არსებობისა, უკვე რეალურ სანახაობას წარმოადგენენ. ვინც ყოფილა მოსკოვში და პეტროგრადში ამ ახლო წარსულში, როცა ეგრეთ წოდებული სამხედრო კომუნიზმის ხაზი იყო გაბატონებული, როგორც პოლიტიკაში, ისე ეკონომიკაში, მას დღევანდელი სურათი რუსეთისა, განსაკუთრებით-კი მისი სატახტო ქალაქებისა დიდათ გაანცვიფრებს და გააოცებს. თითქოს რაღაც მძლეთამძლე ჯადოსნურ ძალას ძირიან ბუდიანათ გადაუბრუნებია ცხოვრება, მისი მოდუნებული ძარღვები ძალზე დაუჭიმავს, აუმუშავებია და შიგ მხურვალე სისხლის ნაკადები აუჩქეფებია. დიდი ქალაქი, ტურფა ქალაქი, განუწყვეტელი მოძრაობით და ჟრიამულით, ელექტრონით მოელვარე ქუჩები, გამუდმებული ბრძოლა ტრამვაის, ავტომობილების, ეტლების და ე. წ. „ლიხაჩების". გაბრდღიალებული მაღაზიები, სავსე ყოველგვარი სანოვაგით და სურსათით, ყველგან ამაღორძინებელი შრომის სურათები..

უთვალავი ხალხი ყველგან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჭიანჭველისებურ თავის პატარა საქმეს, შრომას ეწევა: ზოგი ხერხავს და მაღაზიაში თაროებს აკეთებს, ზოგი ღებავს, ლესავს, რეცხავს და სხ. და სხ. და ყველაფერი ეს იძლევა ერთ დიდ მთლიან შთაბეჭდილებას, რომ ძველი ეკონომიური რეჟიმი წარსულს ეკუთვნის და ჩვენ თვალ წინ სტიქიონური ძალით იშლება ახალი ეკონომიური ურთიერთობის, ახალი ცხოვრების დასაწყისი.

ასეთია გარეგნული სახე.

რა ახასიათებს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას? კერძო წარმოებითი და სავაჭრო ინიციატივა, იჯარა, კონცესიები და სახელმწიფო მონოპოლია, ე. ი. ის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი დარგები მრეწველობისა, რომელნიც ნაციონალიზაციის წესით სახელმწიფოს ხელშია და იგი განაგებს.

ამნაირათ მთელი მეურნეობა რუსეთისა დანაწილებულია სახელმწიფოსა, მსხვილ და წვრილ კაპიტალს შორის. „მბრძანებელი მწვერვალები" (командуюшие высоты), უძლიერესი პოზიციები უჭირავს სახელმწიფოს და არა ბურჟუაზიას, არა კაპიტალს, მაგალითად ქვანახშირი, ნავთი, რკინის გზები და სხვა მრავალი წარმოებანი (ქარხნები, ფაბრიკები, მაღაროები) სახელმწიფოს ხელთაა ეს არის **ტიპი სახელმწიფო წარმოებისა.**

შეცდომით უწოდებენ მეურნეობის დღევანდელ ფაზას, არსებულ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას-სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს. კაპიტალიზმი ნიშნავს ისეთ ეკონომიურ ურთიერთობას, როცა სარგებელი, პროცენტი კაპიტალისა, ზედმეტი ღირებულება კაპიტალისტური კლასის და მისი მთავრობის სასარგებლოთ მიდის და მხოლოდ მის საკუთრებას შეადგენს.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა განსხვავდება სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმისაგან სწორეთ იმით, რომ პროლეტარიატი და მისი მთავრობა არის ბატონ-პატრონი, მესაკუთრე და გამგე უპირველესი საწარმოვო იარაღების და ტეხნიკური საშუალებების და ზედმეტი ღირებულება შექმნილი სახელმწიფო წარმოებაში მუშის მიერ პროლეტარულ სახელმწიფოს ხმარდება სოციალისტური მეურნეობის და ურთიერთობის ნიადაგის გასამაგრებლათ..

მეორე რიგში აღსანიშნავია ის წარმოებანი, რომელნიც გადაცემულია საკონცესიო ან საიჯარო წესით. ასეთ წარმოებაში მონაწილეა, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო კაპიტალი. შესაძლებელია მონაწილეობა იქნეს თანაბარი, შესაძლებელია მეტნაკლები, ეს კონკრეტიულ პირობებზეა დამოკიდებული. ძირითადი ფაქტი კი ის არის, რომ ზედმეტ ღირებულებას სახელმწიფო და კერძო კაპიტალი ერთმანეთში იყოფენ და აქ ნაწილობრივათ კანონიერდება კაპიტალისტური ექსპლოატაცია.

მოსკოვის სამეურნეო საბჭოს აქვს გადაწყვეტილი გასცეს იჯარით 542 წარმოება, რომელთაგან წარსული წლის დეკემბრამდე უკვე გაცემული იყო 205.

გარდა ამისა არსებობს დიდი ჯგუფი წარმოებათა, რომელშიაც სახელმწიფო გარდა კონტროლის და ზედამხედველობისა არავითარ მონაწილეობას არ იღებს. აქ ყველაფერი დამყარებულია კერძო კაპიტალისტურ პრინციპზე.

და თუ ყოველივე ზემოთ აღნიშნულს მივუმატებთ უზარმაზარ დარგს წვრილ ბურჟუაზიული მეურნეობისა: წვრილ ვაჭრობა მრეწველობას, ხელოსნობას, სასოფლო გლეხურ მეურნეობას, სადაც არსებობს დაქირავებული შრომა და ექსპლოატაცია კერძო სარგებლობის მიზნით—ჩვენ თვალ წინ გადაიშლება თვალუწვდენელი სარბიელი, სადაც კერძო კაპიტალს და მაშასადამე ბურჟუაზიას ეძლევა საშუალება და ენიჭება უფლება თავისუფალი თარეშისა. და აი ახლათ მოვლინებული ბურჟუაზია, ბურჟუაზია ახალი ფორმაციისა, უკვე იჩენს თვის საზიზღარ სახეს ყოველ ნაბიჯზე, ცხოვრების ყოველ კუნჭულში. ის მოევლინა ჩვენ ცხოვრებას რასაკვირველია თავის ატრიბუტებით: ძვირფასი რესტორანებით, „ლიხაჩებით", პარფიუმერიით, ვნებათა ამატოკებელი საჭმელ სასმელით და სხ. ერთ ერთ უდიდეს მოსკოვის რესტორანში („Enpire") ნახარჯის საერთო ჯამი ახალწლის ღამეს შეადგინა თურმე 60 მილიარდს

ბურჟუაზიული ქამის მოვლინება სოციალისტური საქმიანობით და იდეალებით განათებულ და ბრძოლის სისხლით მორწყულ რუსეთის ნიადაგზე ბევრ მებრძოლთა შორის ზიზღის გარდა უკმაყოფილებას და შიშს იწვევს. როგორც ზიზღი, ისე შიში სამართლიანია, მაგრამ უკმაყოფილება სრულიად უნიადაგო და ულოღიკოა. განა შეიძლება ისტორიულ აუცილებლობის მიმართ პროტესტის გამოცხადება?

იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების ნგრევის პროცესმა სრულიად დაარღვია და გაანადგურა შვიდი წლის განმავლობაში ეკონომიური ბაზისი ცხოვრებისა. მიღეწ-მოლეწა მექანიზმი მეურნეობისა, დაჰგლიჯა ძარღვები ეკონომიური ურთიერთობისა. საშინელება მდგომარეობდა იმაში, რომ მატერიალური ნიადაგის და არსებობის წყაროების განადგურების დროს რუსეთის პროლეტარიატს უნდა ეწარმოებია უმაგალითო ომი შინაურ და გარეშე მოზღვავებულ მტრის წინააღმდეგ თავის კლასის დიქტატურის დასამყარებლათ. ამიტომ პოლიტიკა ე. წ. სამხედრო კომუნიზმისა სამოქალაქო ომის დროს იყო სწორი, მართალი და მიზანშეწონილი. სხვაგვარი პოლიტიკის წარმოება მომასწავებელი იყო დამარცხების და უბედურების. ეხლა მდგომარეობა სრულებით შეიცვალა, ომი გათავდა, მტერი დამარცხდა, მუშათა კლასის პოლიტიკური დიქტატურა შეურყევლათ განმტკიცდა და ცხოვრება აყენებს ახალ მიზნებს, ახალ ამოცანებს, ითხოვს ახალ ფორმებს და ახალ საშუალებებს, ვინც ეხლა ძველი ტაქტიკის უკეთესობაზე ფიქრობს და მსჯელობს და ამაზე აშენებს თავის უკმაყოფილებას, ის ნებით თუ უნებლიეთ რეაქციონურ როლს თამაშობს და ნიადაგს უმზადებს კონტრრევოლიუციონურ წადილებს. ასეთი „სამხედრო კომუნისტები" კიდევ ბევრია ჩვენ შორის. ისინი სამოქალაქო ომის დროს შეჩვეულნი ბრძოლას, ნგრევას, ნერვებით ცხოვრებას ჯერ კიდევ ვერ შერიგებიან მშვიდობიან შრომის და აღმშენებლობის პირობებს და თავიანთი სამხედრო ფსიქოლოგიით დიდათ ავნებენ და აფუჭებენ საქმეს. მათი ალაგმა აუცილებელია, ვიდრე ისინი შეიგნებდენ, რომ ცვალებადი ტაქტიკა ცხოვრების ობიექტიურ პირობებთან შეთანხმებული ძირითადი დებულებაა რევოლიუციონური მარქსიზმის და ვინც იცის ბრძოლა და ნგრევა, მან აუცილებლათ უნდა იცოდეს აგრეთვე მშვიდობიანი შრომაც და აღმშენებლობაც. აი, ეს ელემენტი ასაზრდოებს იმ უკმაყოფილებას ახალი ეკონომიური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის შესახებ ზემოთ იყო ნათქვამი. ბურჟუაზია და წვრილი ბურჟუაზია სამუდამოთ დამარცხებულია პოლიტიკურათ. დამარცხებულია იგი აგრეთვე ეკონომიურათაც. მუშათა კლასის დიქტატურა სუფევს, როგორც გარდაუვალი ფაქტი და კანონი ცხოვრებისა. ნორჩ, ახალგაზრდა, სისხლით დაწრეტილ და ბრძოლით დაქანცულს სახელმწიფოს არ ძალუძს მარტო თავის ხელით აღადგინოს შვიდი წლის ომით დაქცეული და განადგურებული მეურნეობა, ვაჭრობა მრეწველობა, წარმოება ხელოსნობა. მარტოთ-მარტო მას არ შესწევს ძალა მატერიალური ბაზისი განამტკიცოს ახალი პოლიტიკური ზედნაშენისათვის. და აი ცხოვრების ერთ კუთხეში სახელმწიფო აძლევს თავისუფლებას კერძო კაპიტალს, ბურჟუაზიულ ინიციატივას ეკონომიურ აღმშენებლობაში, მატერიალურ ღირებულებათა შექმნაში მონაწილეობის მისაღებათ. ჩვენ ამ გარემოებას ისე უნდა შევხედოთ, როგორც სპეციალისტების გამოყენებას სახელმწიფოს მართველობის სხვა და სხვა დარგში.

ესვე გარემოება აყენებს საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე ახალ ამოცანებს ბრძოლისა. არა სისხლით და მახვილით, არამედ რევოლიუციონური კანონით და სამსჯავროთი; არა საგანგებო კომისიების ტერორით, არამედ პროლეტარული იურისდიქციით.

ეხლა ცხოვრება და ახალი მოთხოვნილებანი და ინტერესები საბჭოთა სახელმწიფოსი საგანგებო კომისიების სისტემის ლიკვიდაციას ითხოვენ. მათ შეასრულეს თავის დიდი ისტორიული როლი და სამსახური რევოლიუციის გამარჯვებაში და ეხლა სახელმწიფოს დღის წესში პირველ ადგილზე დგება სოციალისტური კანონი, უფლება და სამსჯავრო. ბრძოლა სასტიკი და ულმობელი ახალი ეკონომიური პოლიტიკის მავნე შედეგების წინააღმდეგ, დღეს წარმოადგენს ჩვენს უპირველეს რევოლიუციონურ მოვალეობას. კაპიტალის და ბურჟუაზიის ტენდენციების ალაგმა და მათი სახელმწიფოს სასტიკი კანონიერების და კონტროლის დარჯაკში მოქცევა დღეს იქცევა ჩვენი შინაური პოლიტიკის ქვაკუთხედათ. მთელი ჩვენი ღონისძიება უნდა იქნეს მიმართული იმის წინააღმდეგ, რომ ბურჟუაზიამ არ წაბილწოს და შთანთქას ახალი ცხოვრების ყლორტი, არ შეაფერხოს სოციალისტური აღმშენებლობის პროცესი. არ მოადის ისე, რომ „коготок увяз, всей птичке пропасть". ამისდა მიხედვით რუსეთში უკვე დაიწყო დიდი მუშაობა შესაფერ სახელმწიფო ორგანოებში და დაწესებულებებში.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა მასალას აძლევს დასავლეთ ევროპის კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციას აწარმოვოს ჩვენს წინააღმდეგ პირმოთნეული აგიტაცია. ამ აგიტაციას ლოტბარობენ რასაკვირველია მენშევიკები. დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიის პარტეიტაგზე ლეიპციგში იანვრის დამდეგს მენშევიკები—აბრამოვიჩი და მარტოვი ამტკიცებდენ, რომ საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია „გაშლილი იალქნებით" მიჰქრიან ბურჟუაზიული წესწყობილებისა და კაპიტალიზმისაკენ. ბურჟუაზიის მოციქულნი ჰგმობენ და აძვილებენ საბჭოთა ხელისუფლებას იმ დათმობების გამო, რომელნიც წარმოადგენენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. ისინი გაჰკივიან მთელ ევროპაში ვითომც ჩვენ მიერ კომუნისტური სიწმიდის დაკარგვის შესახებ, და ამით ლამობენ დასცენ და გააბათილონ კომუნისტური ინტერნაციონალის და საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი და გავლენა ევროპის მუშათა მასებში.

მაგრამ ეს აგიტაცია მიზანს ვერ აღწევს: მესამე ინტერნაციონალის მიმდევართა რიცხვი დასავლეთ ევროპაში დღითი დღე იზრდება და პროცესი კლასობრივი ჩამოყალიბებისა და ბურჟუაზიული ხასიათის გამორკვევისა არამც თუ მე-2, არამედ მე-2 ნახევარ ინტერნაციონალისა, დიდის სისწრაფით სწარმოებს. და ევროპის მოწინავე პროლეტარიატისათვის სრულიად აშკარა და გასაგებია, რომ დღევანდელ პირობებში, როცა რუსეთი გარშემორტყმულია კაპიტალისტური სახელმწიფოების რკალით და მას ჯერ ჯერობით აქტიური დამხმარე არა ჰყავს საქვეყნო რევოლიუციის ცეცხლის დასანთებათ და შიგ კი თავის საზღვრებში შვიდის წლის ნგრევის ბეჭედი აზის მთელ ცხოვრებას, ერთად ერთი სწორი, პირდაპირი, რევოლიუციონურ-კლასობრივი გზა არის სწორედ ის, რომელიც აღნიშნულია დღეს ახალი ეკონომიური პოლიტიკის სახელით. ჩვენი აზრით შეცდომა არ იქნება რომ დღევანდელი ახალი ეკონომიური პოლიტიკა **ბრესტის** ხელშეკრულებას შევადაროთ აქ ჩვენ ვპოვებთ სრულ პრინციპიალურ ანალოგიას. ბრესტი იყო იძულებითი, დროებითი დათმობა ძლიერი მტრის წინაშე შესვენების, შეიარაღებული ძალის შექმნის და აღორძინების მიზნით და შემდეგი ძლევა-მოსილი იერიშების მისატანად.

ახალი ეკონომიური პოლიტიკაც არის დათმობა იძულებულებითი და დროებითი პროლეტარული სახელმწიფოსთვის ეკონომიური ბაზისის გასამტკიცებლად, შინაური საღმშენებლო მუშაობის დასამთავრებლად, ერთი სიტყვით პროლეტარული სახელმწიფოს გასაძლიერებლად და გასამაგრებლად, ვიდრე დასავლეთი ევროპის პროლეტარიატი ჩაებმებოდეს საქვეყნო რევოლიუციის ქარცეცხლში. ამნაირად ახალ ეკონომიურ პოლიტიკას საფუძვლად უდევს უკვე ბრძოლაში ნაცადი და ნახმარი, წარსული რევოლიუციონური ექსპერიმენტით გამართლებული და დამტკიცებული პრინციპი და გეგმა და ამიტომ ჩვენ სრულის იმედით და ურყევლობით შეგვიძლია მომავლისაკენ ყურება.

ხ. ქავთარაძე.

---

*) ეს წერილი ეკუთვნის განსვენებულ რევოლიუციონერს ზაქარია ჩოდრიშვილს, რომელმაც ის მისწერა თავის ძმას, ჩვენს მოხუც ამხანაგს, მიხა ჩოდრიშვილს. წერილი მოწერილია 1914 წელს. ავტორი გარდაიცვალა ციმბირში 1916 წელს.

ასგვარი პური—დანოსი ვითომ ალები შეთქმულობას აპირობდნენ. სჯელს გამოუძიებლათ აძლევენ. მარისია მხოლოდ ზედამხედველმა ქვს: მისი სიტყვა უცილო ქეშმარიტებათ არის მიღებული უმაღლეს ობისაგან.

აი კიდევ რაზე: ერთ კამერაში კარტოფილს ფცქვნიან; კარგათ ხედავენ ტუსაღები, რომ ხალასი კარტოფილი 10 ფუთამდე მაინც იქნება, იდანაც წათი აზრით დაახლოვებით თითო პატიმარს 1/4 გირვანქა მაინც შეხვდება. მაგრამ საუბე ერთ სადილის დარიგების შემდეგ მხოლოდ ორს ჯამში აღმოჩნდა თითო ლის ოდენა კარტოფილი, დანარჩენს ცარიელი თბილი წყალი ერგოთ. რადგან ესე არა ერთხელ გამეორდა, ამის შესახებ შესჩივლეს ფროსს, მაგრამ მან საპასუხოთ ერთი ტუსაღი გაწკეპლა 50 წკეპლით და მეორე 2 კვირით კარცერში ჩასვა. თქვათ რომ ლიმე ტუსაღმა მოახერხა აქ კევა, ყველა მის კარცერში ჩყოფი ჯობიან ზოგი წკეპლით და ზოგიც კარცერში დამწყვდევით. ფულითაც რათ ხდებოდა დაჯარიმება, ვინც მუშაობს ის ილებს ცოტაოდენ რომელს. ტუსაღების ნახევარზე მეტს მუშავებენ, აქ გამართულია: სამჭედლო, სადურგლო, სასტალარო, ქეების, ტანთსაცმელის, საფეიქრო, ახელოსნოები, ყველაზედ ცუდათ მოწყობილი და ძნელია მუშაობა ამ უკანასკნელ სახელოსნოში. ბამბის და მალის ძირძების მტვერი ბურუსივით დგას მთელ ქარხანაში. ამ ქარხნის მუშების უმრავლესობა სნეულდება ლექით და იხოცებიან. პატიმარი ქარხანაში დაზგის წინ ზის და ორივე ხელებით და ფეხებით მუშაობს; კიდევ კარგი თუ ვადა გასულია და ფეხებიდან ბორკილები შეხსნილია; სამუშაოზედ გაჰყავთ დილის 6 საათზე და მუშაობენ სალამოს 6 საათამდის. შუადღისას დასვენებისათვის ეძლევათ 1 ნახ. საათი, მაგრამ ვინამ მოიყვანენ პატიმრებს, გაატიტვლებენ გაჩხრეკენ და სადილს მიუტანენ ერთი საათი უკვე გადის და რჩებათ პურის საჭმელათ და დასასვენებლათ მხოლოთ ნახ. საათი. მუშაობის ქირად აძლევენ 7½ კ. ხელზე და ამდენსავე უხდიან განთავისუფლების შემდეგ მისაცემათ. ეს ჯამაგირი ეძლევა თვეში იმ მუშებს, ვინც ციხის საშინაო საქმეზე მუშაობს. ვინც გარედან მოტანილ საქმეზე მუშაობს, თუ კარგათ და ძალიან მუყაითად იმუშავებს თვეში 1.3 მან. აიღებს; ნახევარს სახარჯოთ აძლევენ და ნახევარს უნახავენ. ფულით დაჯარიმება ისე ფართოდაა გავრცელებული, რომ ერთ წელიწადში ტუსაღი სამუშაო ქირას 50 კაპ. ვერ მიიღებს; რასაც მუშაობაში აკეთებს სულ ჯარიმებში მიაქვთ; აჯარიმებენ აგრეთვე სრულიად უმიზეზოდ, როგორც ზევითაც გითხარი. ჩემო ძამიკო, ცოტაოდენს აქაურ საავადმყოფოს და წამლობის შესახებაც გიამბობ და მაშინ ცხადათ წარმოიდგენ ჩვენ აქაურ ტუსაღების ყოფა ცხოვრებას, აქაური ტუსაღები ამ საავადმყოფოს ყასაბხანას უწოდებენ და უნდა გითხრა, რომ სწორეთ ზედ გამოჭრილია ამისათვის ეს სახელწოდება; აბა სხვა სახელი როგორ უნდა უწოდო, როდესაც წელიწადში 100 მდე ტუსაღი კვდება, ანუ ჰკლავენ; იმათ გარდა, რომლებიც აქედან არიან გაგზავნილი ოპერაციაზედ. იქ იხოცება საშუალოდ რიცხვით 50 კაცამდე. გარდა ამისა ერთ „ჩახოტკაში" 20 ჭლექიანი წევს და მეორეში 10 და 18, სხვა და სხვა ავადმყოფები. ამათ ავადმყოფებათ არ სთვლიან, თუმცა ისე არიან ავათ, რომ სიარულიც აღარ შეუძლიათ.

„ჩახოტკას" ცემენტის იატაკი აქვს და მეტათ ნესტიანიც. საავადმყოფო მხოლოდ იმით გაირჩევა დანარჩენი ტუსაღების სადგომებისაგან, რომ იატაკი ფიცრისაა და სილებავით შეღებილია, კერძი ცოტა უფრო სუფთაა, ხორცი ნაკლებ ყარს: სასადილო ჯამები თუნუქისაა, გარედან თეთრი და შიგნიდან ჟანგით სავსე.

დანარჩენი ჭურჭელი სპილენძისაა, მხოლოდ არა ნაკლებ დაჟანგიანებული და კალა მოცილებული. საავადმყოფოში აწვენენ მხოლოთ ისეთ ავადმყოფებს, რომლებსაც მხოლოდ რამოდენიმე დღე დარჩენიათ სიცოცხლე; დანარჩენი ყველა ჯანსაღათ არის ცნობილი, ჩვენი აქ მისაგან. ექიმი ცნობილი კაცია, ხულიგანების თავმჯდომარე; ორი თავმჯდომარე ჰყავნდათ აქაურ ხულიგანებს, ერთი მოკვდა და ეს კიდევ ცოცხალია, კვირაში საჯერ მოდის ექიმი საავადმყოფოში; თუ ჟამი დღე შეხვდა არ მოდის და სჭირდება კვირაში ან ერთხელ და ან ორჯელ მოსვლა; ეს ექიმი გარყვნილების და რუსული ლანძღვის ენციკლოპედიათ უნდა ჩაითვალოს; ი მისი წამლობა როგორ ღირს „თქვენო მაღალო კეთილშობილებავ —ეუ ნება ტუსაღი—მადა დამეკარგა... ექიმი აწყვეტინებს სიტყვას და სამასხროთ იგდებს. მერე დიდი ხანია? — აგერ ორი კვირა იქნება, უთხრა ტუსაღმა;—ხოო, ჩაიფურთხა ცხვირში მკურნალმა—მერე რატომ მაშინვე არ მოხველი და არ შეიატყობინე? ტუსაღმა უყურადღებოთ დატოვა მასხარად აგდება და მიმართა ექიმს, რომ რამე გამომიწერეო; ექიმმა უპასუხა: რაო რძე? ვისი გინდა ხარის თუ.. „თქვენო კეთილშობილებავ, ეხვეწება ტუსაღი, ჩემი საკუთარი ფულით გიხდით; ხო.. ხო.. ეგ სხვა საქმეა, შეიძლება სთქვა მკურნალმა, შემდეგ სხვა ტუსაღი შემოიყვანეს, რომელიც ეხვეწებოდა თუ შეიძლება რამდენიმე ხნით საავადმყოფის კერძი მომეცით, რადგან მეტად დავსუსტდი, სიარულის ღონეც აღარა მაქვსო. ექიმმა დიდის შეკურთხებით გაისტუმრა, აქ სატუსაღოში მოგიყვანეს და არა სასტუმროშიო, მესამე ტუსაღმა შესჩივლა, რომ აგერ ერთ კვირაზე მეტია რაც კუჭი მომეშალა, ფაღარათი და კუჭის წვა მაქვს და მაციებს და მაცხელებსო. სიცხე გაზინჯეს. გრადუსნიკმა არ აჩვენა იმდენი სიცხე რამდენიც ავადმყოფს ქონდა (ამ მკურნალის შეხედულობით იგი სიცხიანი არ არის თუ 38 გრადუსზე ნაკლები აღმოჩნდა ტუსაღს) ამიტომ შეხედა პატიმარს ჯეელი და პირტიტველი კაცი იყო; „შენ უკანალის ქავილი გაქვს და სხვა არაფერი, შენ ერთი 50 წკეპლა გარგებს და მერე შეგდება კამერაში (ადინოჩკაში), რომ შეგიჩერდეს ქავილი, შე ასეთ ისეთო და დედის გინებით გააგდო, აი ასეთ რეცეპტებს უწერს ბევრ ავადმყოფებს; როდესაც გათავდა მიღება და ექიმი წავიდა ფერშლით საავადმყოფოში დაწვენილ ავადმყოფების დასათვალიერებლათ, ერთ პალატაში ავადმყოფმა ექიმს მჟავე კისელი სთხოვა, კისელს წელიწადში მეც ერთხელ ძლივსა ვჭამ ხოლმე და ვინა ბძანდები რომ კისელი მოგართვაო;

ავადმყოფს ხელ ფეხი ულპება ექიმის წყალობით, მინამ ძვლამდის არ დავა იარა და ძვლის ლპობა არ დაიწყება, მინამ არ ჰგზავნის სპეციალისტთან მოსარჩენათ, აგრეთვე თვალები მინამ მთლათ არ გაუფუჭდება, არ ჰგზავნის თვალის ექიმთან, ორი ფერშალი არის აქ, და იგინიც ისეთივე გულქვა რეგვენები არიან, როგორიც თვით აქაური ექიმი;

ახლა ჩემო ძამიკო ნუ დამიმდურებ ბევრ შეცდომით ნაწერზედ მიტომ, რომ წერის დროს სულ კარებისაკენ არის მიქცეული გონება რათა ზედამხედველმა არ დაიჭიროს თორემ 100 წკეპლა მზათ არის და კარცერიდანაც ვეღარ გამოვალ ვერა დროს, ეს წერილი რომ მიიღო მალე მაცნობე და აგრეთვე კარგი იქნება, რომ ერთი ვისიმე რუსის გვარზედ ადრესი მომწერო, რომელზედაც შემეძლოს წერილის მოწერა და მან კი შენ გადმოგცეს, თუნდაც რომ სხვა გვარს ვაწერდე და ან კიდევაც უთითებდე სხვა გვარზედ გადაცემას და არა შენზე იგი იმით მიხვდეს შენს გადმოსაცემას, რომ წერილში შენი სახელი იქნება და მეორეც იმით რომ კონვერტზე ნიშანი, რომ იარასლავის ციხიდან იგზავნება, ნახვამდის შენი გურადა (ხელმოწერა).

10 ივლისს, 1914 წელს.

ერთიანი ფრონტი

ამხ. ზინოვიევი ერთიან ფრონტის შესახებ.

მოსკოვი. 26 თებ. ამხ. ზინოვიევმა კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმში წარმოსთქვა სიტყვა ერთიან ფრონტის შესახებ. ჩვენი მტრები, ამბობს ამხ. ზინოვიევი, დაუფარავი ბოროტი სიხარულით უკავშირებენ ერთმანეთს კომინტერნის მიერ პოლიტიკის შეცვლას და იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება საბჭოთა რუსეთი. ერთიან ფრონტის ტაქტიკას, ისინი ხსნიან განსაკუთრებით რუსეთის რესპუბლიკის ეგოისტურ ინტერესებით. დიახ, ჩვენ როდი უარვყოფთ, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი რუსეთის რევოლიუციის ბედსა და მსოფლიო რევოლიუციის პერსპექტივას შორის. ამიტომ ვინც ამტკიცებს, რომ ერთიან ფრონტის ტაქტიკა გამოწვეულია რუსეთის რევოლიუციის და რუსეთის კომუნისტების გაჭირვებულ მდგომარეობით,—ის მართალს ამბობს, მაგრამ ის ვინც აქედან დაასკვნის, რომ ისტორიაში პირველი, გამარჯვებული პროლეტარული მთავრობა ბოროტად სარგებლობს მსოფლიო მოძრაობით თავის ეგოისტურ ინტერესებისთვისო, ის ბოროტი გამყიდველია როგორც რუსეთის, ისე მსოფლიო რევოლიუციისა. ჩვენ გვკითხავენ: მაშ რატომ კომინტერნის მე-3 კონგრესზე ერთი სიტყვა მაინც არ დასძარით ამ ერთიან ფრონტზე. საჭიროა ცოტა უკან მივიხედოთ. 1915 წელს ჩვენ კიდევ იმედებით სავსე ვიყავით, რომ 2—3 წლის შემდეგ მოხდებოდა მსოფლიო რევოლიუცია. მაგრამ ჩვენ მოვტყუვდით. გამარჯვება ხელიდან გაგვისხლტა. მსოფლიო რევოლიუციის ობიექტიური პირობები არსებობდნენ, მაგრამ კოჭლობდა სუბიექტიური ფაქტორი, არ არსებობდა მსოფლიო კომუნისტური პარტია. ჩვენ მხოლოთ ეხლა ვიმყოფებით ამ პარტიის შექმნის ხანაში. ჩვენ ბევრი რამ გავითვალისწინეთ, ბევრი რამ ვიწინასწარმეტყველეთ, მაგრამ ჩვენ არ ვიცოდით რომ იმპერიალისტურ ომის შემდეგ მასსებს მთლად შეიპყრობს ერთად ერთი ფიქრი, ერთი ზრუნვა არსობის პურის ლუკმაზე ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ, რომ 8 წლის ომის შემდეგ მასსებს მოიცავს მეტის მეტი დაღლილობა და დეპრესია, მოშვებულება და რომ მათი ერთად ერთი მისწრაფება იქნება—მოსვენება და დამშვიდება, რათაც უნდა დაჯდეს ეს. ეს პოლიტიკური ტენდენცია როდია, ეს მხოლოდ მასსების განზე გადგომაა, მაგრამ ამით ფართედ ისარგებლეს რეფორმისტებმა, რომლებმაც მოახერხეს მასსებში ყრუ უკმაყოფილების გამოწვევა კომუნისტების წინააღმდეგ კაპიტალისტებმა არ დააყოვნა, ისარგებლა მუშათა მოძრაობის სისუსტით და ყოველ მხრივ შეტევა დაიწყო პროლეტარიატის წინააღმდეგ. ამის შედეგად, მასსებმა შეიგნეს, რომ უბრძოლველად ისინი ვერას მიაღწევენ. ირკვევა და ცხადი ხდება აგრეთვე ერთიან ფრონტის აუცილებლობა. ჩვენ განვიცდით ამ ჟამად ისტორიულ მომენტს, როცა ხალხის ფართე მასსები ამ ახალ გახყოფილებაზე და გუნებაზე მიდიან. ჩვენ სულელები ვიქნებით, რომ არ გამოვიყენოთ ეს სიტუაცია, ის მძლავრი მისწრაფება გაერთიანებისკენ, რომელიც სტიქიური ძალით მომწიფდა პროლეტარიატის სიღრმეში. ეს ინსტინქტიური მისწრაფება მასსებისა გაერთიანებისკენ გამოიხატა პრიმიტიულ სახით: ისინი მოითხოვენ პირდაპირ ყველა მუშათა პარტიების გაერთიანებას ერთ ბრძოლის პარტიად ბურჟუაზიის წინააღმდეგ. რასაკვირველია, ჩვენ მოვალენი არა ვართ მივეწონოთ მასსების ყოველი განწყობილებას. ჩვენ ვცდილობთ მთელი მუშათა კლასის ერთიანი ფრონტის შექმნას, მაგრამ ჩვენ არას დროს არ გავერთიანებდით ერთ პარტიად ძველ სოციალ-დემოკრატიასთან, რომელიც მთლად გახრწნილია და მოღალატურად მიჰყიდა თავისი თავი კაპიტალიზმს. ამ მოძრაობაში ჩვენ უნდა მოვიზიდოთ და ჩავაბათ ქრისტიანული და უპარტიო მუშათა მასსები. აუცილებლად საჭიროა ანგარიში გაუწიოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტს: ახალი ომების საფრთხეს. ამსტერდამელები ბევრს ყვირიან საყოველთაო გაფიცვის თაობაზე, უკეთუ ომი გამოცხადდა. ჩვენ ეხლა შეგვიძლიან გასაქანი აღარ მივცეთ ამსტერდამელებს: ამ მომავალ გაფიცვაზე ლაპარაკის ჯობს მონაწილეობა მიიღოთ ეხლა დაწყებულ გაფიცვაში მუშების მახლობელ მოთხოვნილებისთვის. მუშათა ერთიანი ფრონტის საკითხის ასეთმა დაყენებამ უნდა მოიზიდოს ჩვენდამი ყველა ელფერის მუშების თანაგრძნობა.

მთელი 10 წელიწადი ჩვენ იძულებულნი ვიყავით გვებრძოლა ძველი სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. ჩვენ უნდა გაგვეპო ეს გამცემელი პარტია. დღეს დადგა მომენტი, როცა ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ: ჩვენ გახეთქილება მოვახდინეთ იმისთვის, რომ გაგვეერთიანებინა პროლეტარიატი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბევრ ამხანაგს ჰგონია, რომ ერთიან ფრონტის ტაქტიკა არის, ასე ვსთქვათ ნაყოფი სასოწარკვეთილებისა და როცა იგი გამოწვეულია განსაკუთრებით ჩვენი სისუსტით. ისინი სცდებიან: ნამდვილად კი ჩვენ ვდგევართ ახალ რევოლიუციონერ მოძრაობის მოზღვავების წინ. ჩვენს დროში ყოველი მსხვილი გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე ღებულობს პოლიტიკურ ხასიათს. ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს სულმოკლენი ვიყვნეთ. ერთიან ფრონტის ტაქტიკა წარმოადგენს საფრთხეს: მხოლოთ ძლიერნი მოიგებენ ამ საქმით; სუსტებს პირველ ხანებში ცუდი დღე დაადგებათ, მაგრამ მხოლოდ ასე შეუძლიანთ მათ გაღონიერება.

გენუას კონფერენციის შესახებ

10 აპრილი.

რომი. 9 მარტი, რადიო. „ლე-ჟურნალი იუწყება: მოკავშირეებმა გადასწყვიტეს გენუის კონფერენციის გახსნა 10 აპრილს. აღდგომის დროს კონფერენცია შეჩერდება. ადასტურებენ, რომ პუანკარე პირადად მიიღებს მონაწილეობას კონფერენციაში

ამერიკა, რუსეთი და გენუა.

ბერლინი. 2 მარტი, „ნოვიმირ" სწერს: თავისი მონაწილეობის მიუღებლობით გენუის კონფერენციაზე, შეერთებული შტატები ევროპის საქმეში აღარ ერევა. ევროპის სახელმწიფოების კრედიტორი, რომელიც ეხლა ვერ ღებულობს იმ სესხის პროცენტებსაც კი, რომელიც მისესხებულია ევროპის მთავრობებზე, ამერიკა, გამოდის რა თავისი ეგოისტური ამერიკის, თუმცა არა შორს გამჭვრეტი პოლიტიკიდან ფორმალურად მართალია. ევროპა არამც თუ თავის ვალებს, პროცენტებსაც კი არ იხდის. ამასთან საფრანგეთი პოულობს საშუალებას მრავალრიცხოვანი ჯარის შესანახად. ამ რიგად საფრანგეთის არმია ფაქტიურად ამერიკის ხარჯით ინახება, და საზოგადოდ ევროპის სახელმწიფოები ხარჯავენ ამერიკის ფულს „დიდი ევროპის პოლიტიკის" საწარმოებლად. შეერთებულ შტატების ანტი-ევროპიული პოლიტიკის ბუნებრივი შედეგია მათი ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან. რაკი შეერთებული შტატებს არ სურთ მონაწილეობის მიღება ევროპის აღდგენაში, ბუნებრივია, რომ მათ არ სურთ მიიღონ მონაწილეობა რუსეთის აღდგენაში, რაც ეხლა შეადგენს ევროპის პოლიტიკის ერთ უმთავრეს ამოცანას. რამდენადაც ამერიკა გვერდს უხვევს ევროპის საქმეების რაც შეიძლება სრული გადაჭრისაკენ, ჩინეთის საკითხის გამორკვევის და იაპონიასთან კომპრომისებით შეთანხმებისაკენ. ამერიკის იმპერიალიზმს იაპონიის სახით ჰყავს ძლიერი შეურიგებელი მოწინააღმდეგე ჩინეთში და შორეულ აღმოსავლეთში. ამერიკის მთავრობამ, [illegible] მიიღოს კოზირი მომავალი არჩევნებისათვის, მოახდინა შეთანხმება შანტუნის შესახებ იაპონიასთან. აქ ამერიკამ მიიღო რამდენიმე დათმობა, რის ნაცვლად ამერიკამ ფაქტიურად იაპონიას მიანიჭა მოქმედების თავისუფლება შორეულ აღმოსავლეთში. შეერთებული შტატების პოლიტიკა ძლიერ უსიამოვნოა საბჭოთა რუსეთისათვის. თუმცა, ეჭვს გარეშეა, რომ ამერიკა იაპონიის წინააღმდეგობანი არ გადაიჭრებიან მათი ასეთი შეთანხმებით: წინააღმდეგობანი თავს იჩენენ საკმარისად ამ შეთანხმების პრაქტიკულად განხორციელების დროს ჯერჯერობით კი საბჭოთა რუსეთმა იმედი უნდა იქონიოს იაპონიის ინტერვენციონისტებისაგან ციმბირის დასაცავად იაპონიის მტაცებლურ გეგმების წინააღმდეგ ოპოზიციონურად განწყობილი თვით იაპონიის [illegible] ფართე მასსის და თავისი წითელი არმიის ძალისა.

ვაჭარ მრეწველები ხიდილობენ.

ბერლინი. 2 მარტი. რუს ვაჭარმრეწველთა ბერლინის კავშირი, მომავალ გენუის კონფერენციის გამო, მუშაობს გერმანიის სავაჭრო სამრეწველო წრეების „ობიექტიურ" გასაცნობად რუსეთის ეკონომიური მდგომარეობისაგან. კავშირის მმართველობა აწყობს ფარულ საუბრებს გერმანულ ენაზე, სადაც იწვევს გერმანიის საფინანსო და სამრეწველო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. „ბერლინერ ტაგებლატი" იტყობინება, რომ გერმანიის ვაჭარ მრეწველთა კლასის მსხვილ ორგანიზაციებმა უარი სთქვეს რუს ვაჭარმრეწველობის კავშირთან ყოველგვარ დამოკიდებულებაზე, იმ მოტივებით, რომ გერმანიის ფინანსიური და სამრეწველო წრეები არ საჭიროებენ რუს ემიგრანტების ინფორმაციებს და დარიგებას, რაკი ისინი საკითხს უდგებიან პოლიტიკური თვალსაზრისით და მიკერძებით.

პეტლიურა ემზადება.

მოსკოვი. 9 მარტი. (რადიო). ლონდონიდან 6 მარტის რიცხვით იტყობინებიან: პეტლიურა რაღაცას ფიქრობს გენუის კონფერენციის წინ, ამზადებს რა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლას უკრაინაში. პოლონეთმა ნება დართო პეტლიურას პოლონეთის ტერიტორიაზე დარჩენის და აძლევს მას სუბსიდიათ 30 მილ. მარკას თვეში. ტარნოვში, პეტროკოვში და კალიშში საკონცენტრაციო ბანაკები გადაეცა განკარგულებაში პეტლიურის მთავრობას.

პოლონეთი უკვე მოემზადა.

მოსკოვი. 9 მარტი. (რადიო). რიგიდან 6 მარტს, იუწყებიან: ვარშავიდან მოსული ცნობებით, პოლონეთის მთავრობა უკვე მოემზადა გენუის კონფერენციისათვის, რომელზედაც წინადადებას იძლევა: 1) წარადგინოს მოკავშირეების განკარგულებაში სია პოლონური მოღვაწეების, რომელთაც ომამდე გამოჩენილი ადგილები ეჭირათ რუსეთის საზოგადოებრივ, სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში; 2) მიიღოს თავის თავზე რუსეთის ნახშირით მომარაგება; 3) მოაწყოს საწყობები რუსეთისთვის დანიშნული საქონლებისთვის.

„მოსალოდნელი საფრთხე"

მოსკოვი, 10 მარტი, (რადიო). „იზვესტია" უკეთებს ჯამს იმ ავანტიურებს და ინტრიგებს, რომელიც შეგროვილია გენუის კონფერენციის გარშემო.

გაზეთი სწერს: „ინტრიგანების მუშაობა გაიშალა ყოველ მხრივ. გენუის კონფერენციის წინადღეებში, ჩვენ ხედავთ ძველი გეგმის აღდგენას, შეურიგებელი ანტი-ბოლშევიკური რგოლის განახლებას. ბალტიის განაპირა სახელმწიფოებში ინტრიგები ჩქარი ნაბიჯით იზრდებიან. ამ ინტრიგების უფრო სიმპტომატიური დახასიათებაა ფინეთ-პოლონეთის სამხედრო კავშირი რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ ვარშავაშიც არ შენელებულა ინტრიგების მუშაობა. ის აქიდან დაჰყავს სამხრეთისაკენ. პეტლიურის ბანდები შეადგენენ პოლონეთისა და რუმინეთის შემაერთებელ ხაზს. რუმინელებიც იარაღდებიან. პეტლიურის წარმომადგენლები, რომელნიც სრულ კონტაქტში იმყოფებიან რუმინეთის სამხედრო მმართველობასთან. თუ ამას კიდევ დავუმატებთ ვრანგელს, რომელმაც ახლა დაარსა საშინელი ბანდიტები და ყაჩაღები, და რომელთაც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ინახავს საფრანგეთის მთავრობა თავის ხარჯებით, მაშინ მივიღებთ სრულ სურათს. თავდასხმა, თუ კი ის მოხდა, მზადდება უკრაინის მხრიდან. ყოველივე ასეთი მზადება ამტკიცებს ჩვენს ეჭვიანობას. სავსებით ცხადია. რომ საბჭოთა რუსეთთან შეთანხმების [illegible] ცდასთან ერთად [illegible] ბურჟუაზია ამზადებს რუსეთზე სამხედრო მუხრუჭის მოჭერას და შეიძლება ახალ სამხედრო თავდასხმასაც კი. ვიღებთ რა მხედველობაში ასეთი გალაშქრების შესაძლებლობას, ჩვენ კვლავ გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა რუსეთი მოიგერიებს ასეთ ახალ ბოროტგანზრახვებსაც, როგორც მან მოიგერია სხვა წინანდელი, და ბოლოს ამით დაზარალდებიან თვით ავანტიურისტები და ინტრიგანები.

კაპიტალიზმის სამეფოებში

რუსეთ-შვეციის შეთანხმება.

მოსკოვი, 10 მარტი, (რადიო). შვეციის ვაჭრობის მინისტრი სვენსონი გამოვიდა რუსეთ შვეციის მოლაპარაკების განმარტებით და აღნიშნა, რომ საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს შვეციისათვის. პირვანდელმა შეთანხებამ მისცა შვეციას 30 მილიონის შეკვეთა, ამასთანავე ლოკომოტივების და სხვა შემოსატანის შეკვეთა 1921 წლის დამლევში აღწევდა 80 მილიონამდე. მინისტრის აზრით ეს ხელშეკრულება წარმოადგენს გადასვლას მომავალ საბოლოო ხელშეკრულებაზე, რომელიც ნასურველია ორთავე ქვეყნის ინტერესებისათვის.

ფარისევლობა.

ბორდო, 9 მარტი, (რადიო). „მატენი" აქვეყნებს ზოგიერთ საბუთებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ამერიკის სამხედრო წრეები არიან განწყობილი მილიტარისტულად. გაზეთ „ენტრან სიჟანი" უკეთებს რა კომენტარიებს ამ საბუთებს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის სათათბირო კომიტეტმა გარკვევით და ცხადათ გამოთქვა თავის აზრი ამერიკის წყალქვეშა ფლოტის ნამდვილ სიძლიერის შენახვის შესახებ. თუ ეს ასეა, სწერს გაზეთი, მაშინ საფრანგეთის დელეგაცია ვაშინგტონში, რომელიც მხარს უჭერდა წყალქვეშა ფლოტის საომარი უნარის შენახვის საჭიროებას, რისთვისაც შეიქნა ისეთ ობიექტად, რომელსაც უსაყვედურებენ საერთაშორისო თვალსაზრისით მილიტარიზმს. „ენტრან სიჟანი" სარგებლობს შემთხვევით, რომ განმეორონ ხელახლად, რომ საფრანგეთი მოითხოვს რა წყალქვეშა ფლოტის შენახვას, სცდილობს დაიცვას მხოლოდ თავისი უშიშროება. მხოლოდ ამ მოტივებით ხელმძღვანელობენ ამერიკა და ინგლისი თავიანთ წყალქვეშა ფლოტის გაძლიერების დროს, გესლიანად კითხულობს [illegible] გაზეთი.

ანგორა არ ემორჩილება უცხოეთის გავლენას.

ბორდო. 9 მარტი. (რადიო). მუსტაფა ქემალმა, რომელიც აირჩიეს ისევ თავმჯდომარეთ, წარმოსთქვა დიდი სიტყვა ანგორის ეროვნულ კრილობაზე, ანგორის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ. ჩვენ მზათ ვართ, თქვა მუსტაფა ქემალმა, მოვახდინოთ საჭირო რეფორმები, რამდენადაც ჩვენ თვითონ ვეთანხმებით მის თანდროულობას და აუცილებლობას. მაგრამ როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს მთავრობა, ჩვენ უარს ვამბობთ დავემორჩილოთ უცხოეთის გავლენას. ჩვენ მზათ ვართ მივიღოთ ყველა მთავრობების მეგობრობა, რომ მათთან თანამშრომლობით ვიმუშაოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად აღორძინებისათვის.

შორეულ აღმოსავლეთის ამბები

ფრონტზე.

ჩიტა. 3 მარტი. (რადიო). შ. ა. რ. სახალხო რევოლიუციონურ არმიის შტაბის ცნობა, 2 მარტის თარიღით. ჩვენი ნაწილები ბრძოლით იწევენ წინ სამხრეთის მიმართულებით. მათ დაიკავეს სოფლები ნოვო პოკროვკა, ზარუბინო და გეორგიევკა. მოწინააღმდეგის ცდა,—შეჩერებულიყვნენ, უშედეგოა. მტერს ვსდევნით [illegible] მიმართულებით.

პარტიზანების მოქმედება.

ჩიტა. 4 მარტი. (რადიო). პარტიზანული რაზმები გაძლიერებით მუშაობენ უსურიის რკინის გზაზე ნიკოლსკიმანის რაიონში. ერთ დღეს პარტიზანებმა მოახდინეს 10 აფეთქება. გზა სავსებით შეუწყვეტელია. მტრის სამხედრო მატარებელი ფერდობზე დაუშვეს. აფეთქებულია ხიდი.

თეთრგვარდიელთა შორის.

ჩიტა. 4 მარტი, (რადიო). თეთრგვარდიელები იშლებიან. ვლადივოსტოკში მომხდარ ამბების გამო გენერალი ბოლდირევი შიშობდა რა გენ. მოლჩანოვის მხრით რეპრესიებს, მოვიდა ხარბინში.

მერკულოვი ვაჭრობს.

ჩიტა. 4 მარტი. (რადიო). ვლადივოსტოკში ჩამოვიდნენ იაპონიის ვაჭარმრეწველები მერკულოვიდან რუსულ ძვირფასეულობის სასყიდლად.

ქრონიკა

◆ **ქალაქის დარაზების მოიჯარადრეთა საყურადღებოდ.** ტფილისის აღმასკომის საფინანსო საბიუჯეტო კომისია ქალაქის დარაზების მოიჯარადრეთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ უკანასკნელი ვადა ა. წ. თებერვლის და მარტის თვიურის საიჯარო ფულის შეტანისა დანიშნულია ა. წ. 15-დან 25 მარტამდე, რისთვისაც წინადადება ეძლევათ მოიჯარადრეთ დროზე იზრუნონ ფულის შეტანაზე. უკანასკნელ შემთხვევაში მოიჯარადრეებს დარაზები სრულიად ჩამოერთმევათ.

◆ **მუზეუმი შკოლის გარეშეთათვის.** პოლიტიკურ განათლების მთავარი სამმართველო აწყობს მუზეუმს შკოლის გარეშეთათვის, სადაც შეაგროვებენ ყველაფერს, რაც კი შეეხება სკოლის გარეშე განათლებას და ბავშვის ცხოვრებას.

◆ **საქართველოს მონადირეთა კავშირი.** 19 მარტს მოწვეულია წლიური საერთო კრება საქართველოს მონადირეთა კავშირის წევრებისა, სადაც მოხდება არჩევნები აპრილში მოსაწვევ სრულიად საქართველოს კავშირის წევრთა დელეგატებისა. ამ ყრილობაზე უნდა გაირჩეს საკითხი კავშირის გარდაქმნაზე, რომელსაც ეხლა საზოგადოებრივ ხალხოსნური ორგანიზაციის ხასიათი აქვს, წარმოებითი პროფესიონალურ კავშირად.

◆ **ჩქარ მატარებელზე თავდასხმა.** ღამით 8 მარტს ყვირილა-სვირს შორის დაეცენ 7 მარტს თბილისიდან გამოსულ სწრაფ მატარებელს. ღამის 10 საათზე დაახლოვებით, როცა მგზავრები დასაძინებლათ ემზადებოდნენ, 5 ბანდიტმა, რომელნიც ალბათ ამავე მატარებლით მოდიოდნენ, განიარაღეს რა წინდაწინ მცველთა ნაწილი, უეცრად დაესხნენ თავს მგზავრებს. მცველთა უფროსმა, რომელიც დროებით ასრულებდა მილიციის ინსტრუქტორის თანამდებობას, ამხ. ელიაშვილმა სწრაფად მოისაზრა რაშიაც იყო საქმე, ჩასაფრდა და მოჰკლა სამი ბანდიტი, დანარჩენები მიიმალნენ. გაძარცულია მხოლოთ ოთხი მგზავრი. სროლის დროს 3 მგზავრი და ერთი მილიციონერი ამხ. ავალიანი აღმოჩნდენ დაჭრილი.

მოკლული ყაჩაღები აღმოჩნდენ: რობაქიძე, პანკოკი, და [illegible] წინამძღოლი გეგელაძე. მიღებულია ზომები დამალული ყაჩაღების დასაჭერად.

◆ **გრ. რობაქიძის მოხსენება: „ევროპის დაღუპვა".** ხვალ 1 სახელმწიფო კონსერვატორიაში გრიგოლ რობაქიძე გააკეთებს მოხსენებას ოსვალდ შპენგლერის ცნობილ წიგნზე „ევროპის დაღუპვა". წმინდა შემოსავლის ნახევარი ნაწილი გადაიდება საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ.

სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა მუზეუმი

რათა გაღრმავდეს და გაფართოვდეს სკოლის გარეთ პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა, პოლიტიკურ განათლების მთავარი მმართველობა აარსებს სკოლის გარეთ განათლების მუშათა მუზეუმს. პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობის სერიოზული მნიშვნელობა მოითხოვს, რომ ეს მუშაობა შესწავლილ და აღრიცხულ იქნას და რომ მას ჰქონდეს ბაზა თავის განვითარებისთვის.

მუზეუმს წინ უდგას შემდეგი ამოცანები: 1. კაბინეტი პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის საზოგადო საკითხებისთვის. 2. საბიბლიოთეკო კაბინეტი. 3. საკლუბო კაბინეტი. 4. პოლიტიკურ განათლების კაბინეტი. 5. ხელოვნებათა კაბინეტი. 6. სასკოლო-კულტურულ მუშაობის კაბინეტი-

7. ყოფა-ცხოვრების კაბინეტი. 8 სამუზეუმო საექსკურსიო კაბინეტი. 9. ჭაბუკობასთან მუშაობის ინსტიტუტი.

რეგულიარულ კრებისა, კონფერენციებისა, ლექციებისა და საუბრებისთვის მუშათა მუზეუმთან დაარსებულ იქნება კლუბი.

პოლიტიკურ-განმანათლებელ კურსების და ყრილობების მოწყობა თავმოყრილი იქნება მუზეუმთან. მუშათა მუზეუმი ამყარებს მუდმივ კავშირს ყველა პოლიტიკურ განათლების მმართველობებთან და ჰკრებს ყველა მასალას პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობისთვის: ექსპონატებს, ანგარიშებს, და გრამებს, ადგილობრივ გაზეთებიდან ამონაჭრებს, ინსტრუქციებს, აფიშებს, პლაკატებს და სხვა. მუშაობის გასაშუქებლადა და სახელმძღვანელოდ მუზეუმი რეგულიარულად გამოსცემს ჟურნალს.

ექსკურსიების მომწყობი ბიურო სწავლობს საექსკურსიო საქმეს და აწყობს ექსკურსიებს მთელ კავკასიაში. მუშათა მუზეუმი ამყარებს მჭიდრო კავშირს საბჭოთა რუსეთის ამნაირსავე დაწესებულებებთან, მეტადრე მოსკოვის სკოლის გარეთ მუშაკის სახლთან.

მუზეუმის მუშაობაში ჩაბმულნი არიან პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობის ყველა მეთოდიური მუშაკნი; დამყარებულ იქნება აგრეთვე კავშირი პოლიტიკურ განათლების ყველა მუშაკებთან თბილისში და საქართველოში. მუშათა მუზეუმს აწყობენ პუშკინის ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში. პუშკინის ბიბლიოთეკას ცენტრალურ საბავშვო ბიბლიოთეკასთან ერთად აქვს მდიდარი განყოფილებები, 35 ათას წიგნზე მეტი.

ეს ბიბლიოთეკები ინტენსიურად შევსებულ და მოწყობილ იქნებიან საბიბლიოთეკო საქმის უკანასკნელ სიტყვის თანახმად. სახ. განათლების კომისარიატის საორგანიზაციო ცენტრი გადასცემს მუშათა მუზეუმს თავის ბიბლიოთეკას, რომელსაც აქვს საბჭოთა რუსეთის თითქმის ყველა გამოცემანი. ეს ბიბლიოთეკა საფუძვლად დაედება საბიბლიოთეკო კაბინეტს.

პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობას საქართველოში აქვს ერთი წლის გამოცდილება, რომელიც უნდა გამოვიყენოთ. მეორეს მხრით, მუშათა და გლეხთა ფართე მასების კულტურულ მოთხოვნილებათა კოლოსალური ზრდა, კომუნისტურ პარტიის ყურადღება პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობისადმი, რადგან ეს ბუნებრივად გამომდინარეობს საბჭოთა აღმშენებლობის არსიდან—ყველა მუშათა მუზეუმის წინ აყენებს კიდევ უფრო სერიოზულ ამოცანებს. კმარა „კუსტარობა“ ეხლა აუცილებლად საჭიროა მოწყობა, ორგანიზაცია, უნდა დავიცვათ და თავი მოუყაროთ შრომის შემოქმედებით პროცესში პოლიტ-განათლების მუშაკთა წარმოების ყველა საშუალებას“, გამოვძებნოთ ახალი გზები, ახალი მეთოდები, ახალი მიღწევანი.

ჩვენი კომუნალური მეურნეობა

(თბილისის ქალაქის აღმასკომის სხდომა)

(დასასრული. იხ. „კომ.“ № 53).

სპეციალისტების აზრი.

ამხანაგების წივწივაძის და ბაქრაძის მოხსენების მოსმენის შემდეგ კომუნალური მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, აღმასკომმა მოისმინა აზრი მთელი რიგი სპეციალისტებისა, რომლებიც თვითეულ სამეურნეო ორგანოების და წარმოებების სათავეში დგანან.

წყალსადენის გამგე დიასამიძე ამბობს:

ჩვენი მიმდინარე რემონტი—კაპიტალური რემონტია, ვინაიდან ასეთ მდგომარეობაში იმყოფება წყალსადენი: ჩვენ ყოველდღე ვიბრძვით წყალსადენის სიცოცხლისთვის. კერძო აბონენტები შეადგენენ მომხმარებელთა 50 პროცენტს და შეუძლიანთ დღეში 81 მილიონ მანეთის მოცემა. ხოლო მარტო მაზუტის და მის გადმოტანის ქირის ღირებულება ადის 126 მილიონ მანეთამდე.

სამრეწველო დაწესებულებებს ხარჯვენ მხოლოთ წყლის საერთო რაოდენობის 5 პროცენტს. მათი იმედი არ უნდა ვიქონიოთ.

ერთი ვედრა წყალი ჩვენ თითონ გვიჯდება 1200 მან.

ელექტრონის სადგურების გამგე ამბობს: ეხლანდელი ტარიფის დროს,—13,500 მან. ღირს კილოვატი,—წლიური დეფიციტი აღწევს 16 მილიარდს, ე. ი. აღემატება 50 პროცენტს და ისიც იმ პირობით, თუ ენერგიის ყველა მომხმარებელი უკლებლივ გადიხდის მის ფასს. ამასთან 16 მილიარდიდან 12 ხვდება წილად მოშალავათეებს.

ეხლა ისეთი მდგომარეობაა, რომ მანქანები დგანან ურემონტოდ, ხოლო მუშები უპუროდ.

მშვიდობიან დროს კილოვატი ღირდა 70 კაპ., გირვანქა კეროსინიკი 3 ნახევარი—4 კაპ., ე. ი. ეს შეფარდება მეტად სასარგებლო იყო კეროსინისთვის. ეხლა, თუ ჩვენ კილოვატის ფასს დავაწესებთ 20 ათას მანეთს და თუ ამავე დროს კეროსინი ეღირება 8—10 ათასი მან.,—შეფარდება შეიცვლება ელექტრონის სასარგებლოთ. ასეთი შეფარდების წყალობით ჩვენ თამამად შეგვიძლიან მივიღოთ 18 პროცენტი მოგება, რომელსაც იღებდნენ წინანდელი მწარმოებელნი.

მაგრამ, თუ ჩვენ გინდ 25—30 ათას მან. დავადებთ ერთ კილოვატს და ისევ დავარჩენთ მოშალავათეებს, დეფიციტი მაინც იქნება და მისი დაფარვა მოგვიხდება არა მოშალავათეების ხარჯით. ასეთ პირობებში ერთი ლამპის ღირებულება აღწევს 250—300 ათას მან. თვეში, ანუ 32 ათას მან. კილოვატში ერთ საათში ე. ი. კეროსინთან ბრძოლას ჩვენ ვეღარ შევიძლებთ.

ინჟენერი ტერ-გოზალიანცი ამბობს, რომ წყალსადენში 500 ცხენის ძალაზე იხარჯება წელიწადში 400 ათასი ფუთი ნავთი,—ეს გრანდიოზული ციფრია ეს იმიტომ ხდება ასე, რომ ჩვენ მანქანები კი არა, „ხლამი“ გვაქვს. ორი ახალი მანქანის დადგმა 75 პროცენტით შეამოკლებს სათბობის მოთხოვნილებას, ხოლო ამ ეკონომიით შეიძლება ვიყიდოთ ახალი 500 ათასი ცხენის ძალა.

ამხ. წივწივაძე შენიშნავს, რომ ყველაფერი ეს გათვალისწინებულია აღმშენებლობის წლიურ გეგმაში. თუ ამ გეგმას განვახორციელებთ, სათბობის ეკონომია მიაღწევს 750 ფუთს დღეში.

ამხ. ლ. დუმბაძის სიტყვა.

რაზე ლაპარაკობთ, ამხანაგებო?—შენიშნავს ამხ. ლადო. წყალსადენის ძირითად გადაკეთებას სჭირია 2 წელიწადი, ხოლო ელექტრონის სადგურების გადაკეთებას—1 წელიწადი. ჩვენ წინ დგას საკითხი—დღეს რა გავაკეთოთ.

აქ ლაპარაკობენ მოშალავათეებზე—მუშებზე. დაე ყველა მომხმარებელმა გადაგვიხადონ ფული, და მაშინ ჩვენ ყველა მუშებს ვაკისრებთ ჩვენ თავზე და ეს ჩვენთვის გაცილებით უფრო სასარგებლო იქნება.

ჩვენ სხვანაირად უნდა დავაყენოთ საკითხი. ჩვენ გაბედულათ უნდა ვთქვათ, რომ ქალაქს არ შეუძლიან უფასოთ თავისი საკუთარი ხარჯით მიაწოდოს რესპუბლიკას დაწესებულებებს, ჯარს და სხვებს ელექტრონი, წყალი და სხვა. ეს სახელმწიფოს საქმეა.

უნდა გადავჭრათ მავთულები, დავხუროთ წყალსადენის ონკანები—ასე უნდა მოვიქცეთ, დაე მაშინ მათ თითონ დააყენონ ეს საკითხი.

ხოლო რომ საზოგადო აღმშენებლობა, ან უკეთ ვსთქვათ კომუნალურ წარმოებათა გადაკეთება აუცილებლად საჭიროა,—ამაში ეჭვი არავის არა აქვს.

ჩვენ ბევრი შესაძლებლობა გვაქვს—მხოლოდ უნდა გამოვიყენოთ ისინი.

დადგენილება.

საკითხის ამოწურვის შემდეგ თბილისის ქალაქის აღმასკომმა დაადგინა: დაწესდეს ერთიანი ტარიფი: წყალი ვედრა—300 მან; ელექტრონი კილოვატი—საათში 25 ათასი მან, ხოლო ლამპაზე—5 ათასი მან. თითო სანთელზე თვეში.

ამიერ-კავკასიის პროფკავშირების 1-ლი გაერთიანებული ყრილობა

დამშეულთა დახმარების საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ნიკიტინი, რომელმაც განაცხადა, რომ ამ საკითხს უნდა მიექცეს ძლიერ სერიოზული ყურადღება და წამოაყენა რამოდენიმე კონკრეტიული ზომები, რომლებიც უნდა შეასრულონ პროფ. ორგანიზაციების წევრებმა.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

1. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ყველა პროფორგანიზაციებს მიიღონ მონაწილეობა დამშეულთა მუდმივ და სისტემატიურ დახმარებაში ჯამაგირიდან და ნატურით მიღებულ სამუშაო ქირიდან გადარიცხვის ფორმით, სპეციალურად მოწყობილ შეგროვებით, შაბათობის მოწყობით და სხვა.

2. კავშირის თითეული ორგანიზაცია ვალდებულია მოაწყოს თავიანთ წევრებისაგან თავისუფლათ გაღებულ თანხით თავშესაფრები დამშეულ ბავშვებისათვის.

3. საბჭოთა ხელის უფლების და ს. პ. კ ც. ს. მიერ დამშეულთა დასახმარებლათ სავალდებულო გადასახადის შესახებ გამოცემულ დეკრეტისა და ცირკულიარის წარჩინებით ჩასატარებლათ ყველა პროფორგანიზაციებმა კავშირის წევრთა შორის ფართო საგიტაციო კამპანიის გატარებით უნდა აიძულონ თავიანთ კავშირის მასსა სავსებით და ვადაზე გაანხორციელონ აღნიშნული დეკრეტი და ცირკულიარი.

წითელ ლაშქრის დახმარების კვირა

მოკლე მოხსენებით წითელ ლაშქრელთა დახმარების კვირის შესახებ გამოვიდა ამხ. გოუსმანი. მისი მოხსენების გამო ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია.

მოისმინა რა ცნობა წითელ ლაშქრის დახმარების კვირის შესახებ, ყრილობა წინადადებას აძლევს ყველა პროფორგანიზაციებს გაატარონ ადგილებზე ფართო აგიტაცია წითელ ლაშქრისადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ - მჭიდროთ დაუკავშირდენ წითელი ლაშქრის ცალკე ნაწილებს ცალკე რაზმების შეფობის მიღებით და აღმოუჩინოს მათ ყოველ გვარი მატერიალური დახმარება, დაიცვან ამხანაგურათ ისინი. მისცენ მათ გართობის შესაძლებლობა და სხვა.

გაუმარჯოს მუშურ გლეხურ წითელ ლაშქრს.

გაუმარჯოს პროლეტარიატის მსოფლიოს გამარჯვებას.

სამანდატო კომისიის მოხსენება

როგორც სჩანს სამანდატო კომისიის მოხსენებიდან, ყრილობის შემადგენლობა შემდეგია: სულ 255 დელეგატია, მათგან გადამწყვეტი ხმის უფლებით 231 კაცი, და სათათბირო თი—24. პარტიული შემადგენლობა: კომუნისტი—217, უპარტიო—33, სხვა პარტიების 5, ეროვნული შემადგენლობა შემდეგია: 72 რუსი, 58 ქართველი, 30 თათარი, 57 სომეხი, 19 ებრაელი, 4 ოსი, 3 გერმანელი, 3 ბერძენი, 2 პოლონელი, დასხვა ეროვნებათა 1. სამანდატო კომისიის მოხსენება დაამტკიცა ყრილობამ.

ს. პ. ქ. ც. ს. ამიერ კავკასიის ბიუროს არჩევნები

ყრილობამ დაადგინა ამიერ კავკასიის ბიუროს წევრთა რიცხვი განსაზღვროს 11 კაცით და წამოყენებულ სიით ერთხმათ არჩეულ იქნა: ამხ. გაუსმანი, კოკუშკინი, ხანბუდაგოვი, ნიკიტინი, ოგანეზოვი, ხაჩიევი, ოდილავაძე, ყურულაშვილი, ბახუტოვი, მეათე ადგილი რკინის გზის პროფკავშირის წარმომადგენელს და მეთერთმეტე დებულების მიხედვით ბიუროს თავმჯდომარეს—ს. პ. კ. ც. ს. დანიშვნით. კენჭის ყრის შედეგებს შეხვდნენ მქუხარე ტაშით.

ამხ. ორჯონიკიძის სიტყვა

საბოლოვო სიტყვით გამოვიდა ამხ. ორჯონიკიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ 1922 წ. ამიერ კავკასიის მშრომელთა მასების ცხოვრებაში იქნება უაღრესად მნიშვნელოვანი. ამიერ კავკასიის პროლეტარიატი, ხელახლად ამჭიდროვებს თავის რიგებს და არ არსებობს არავითარი ძალა, რომელიც შესძლებდა მის გათიშვას. კაპიტალიზმის ერთიანი ფრონტის წინაშე სდგება არა მარტო ამიერ კავკასიის მშრომელთა გაერთიანებული ფრონტი, არამედ უმთავრესად რუსეთის პროლეტარიატთან გაერთიანებული. შემდეგ ამხ. ორჯონიკიძე შეეხო რა ეკონომიურ სიძნელეების აწევის საკითხს, თქვა რომ ამ ფრონტზე გაუმარჯვებლად არ არის რევოლიუციის გამარჯვება და სრულ რწმენას გამოსთქვამს რომ გამარჯვება მიღწეული იქნება.

ყრილობის დახურვა

ამხ. ორჯონიკიძის სიტყვის შემდეგ ყრილობას დახურულად აცხადებენ და დელეგატები ინტერნაციონალის სიმღერით სტოვებენ სხდომის დარბაზს.

პარტიული ცხოვრება

ყველა რაიონულ კომიტეტებს

(ცირკულიარი № 136).

ამტკიცებს რა მეოთხე რაიონული კომიტეტის დადგენილებას დაწესებულებათა იაჩეიკების გაუქმებაზე, თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა მიღებულ იქმნას სახელმძღვანელოდ შემდეგი:

1) პარტიის ყველა წევრები და კანდიდატები გაუქმებულ კომიაჩეიკებისა პარტიულ მოვალეობათა შესასრულებლად მიმაგრებული არიან სათანადო რაიონულ კომიტეტებზე, საიდანაც ანაწილებენ მათ კომუჯრედებში.

2) გაუქმებულ კომუჯრედების ის წევრები და კანდიდატები, რომელნიც გადაყვანილი არიან 1, 2 და 3 რაიონში, საბოლოოდ რჩებიან მიმაგრებული ამ რაიონზე და იხსნებიან მე-4 რაიონის აღრიცხვიდან.

3) რაიონული კომიტეტები მუდამ თვალყურს ადევნებენ იმას, რომ რაიონებში დაგზავნილი ამხანაგები პირნათლად ასრულებდენ თავიანთ პარტიულ მოვალეობას.

4) იმ დაწესებულებათა პარტიის ყველა წევრები და კანდიდატები, სადაც გაუქმებულია კომუჯრედები, აარსებენ იმ დაწესებულების კომფრაქციას, და აქედან თავიანთ შორის ირჩევენ ერთ ხელმძღვანელს, რომელსაც ამტკიცებს სათანადო პროფკავშირის ფრაქციის ბიურო მე-4 რაიონულ კომიტეტთან შეთანხმებით. თვითეული დაწესებულების კომფრაქცია მჭიდროდ უკავშირდება სათანადო პროფკავშირის ფრაქციის ბიუროს და ყველა მისი დირექტივებს უთანხმებს პროფესიონალურ ხაზს.

5) დაწესებულების კომფრაქციის მორიგ ამოცანას შეადგენს ადგილობრივ კომიტეტებში უმრავლესობის დაპყრობა.

6) პარტიის გაუქმებულ კომუჯრედების წევრები და კანდიდატები ნაწილდებიან რაიონულ კომიტეტებში შემდეგი წესით:

1 რაიონში.

სოფიო კარაბანოვა, გრიგოლ მიკირტუმოვი, ისაი ნოვინსკი, ჰაიკ ელჩიბეკოვი, ალექსანდრე კაძალია, ა. ჩერკაშინი, ალექსანდრა სულხანოვა, კარმენ ცომაია, მიხეილ მამარდაშვილი, კლიმენტი ცომაია, ილარიონ ძიძიგური, გიორგი კოლეხსაევი, სერგო ქავთარაძე, პეტრე კაჩკოვცევი, გერმანე მგალობლიშვილი, ლაზარე მედიჩი, ალექსანდრე ბეგზადიანი, პავლე მინდიაშვილი, ალექსანდრე ბახტაძე, დიმიტრი კლდიაშვილი, ალექსანდრე კილაძე, გრიგოლ ელაშვილი, კალისტრატე ჯაფარიძე, ისაკი გაბრიელიანი, გიორგი პარპაია, ვლადიმერ ტატიშვილი, სერგო შავიშვილი, ბუდუ მდივანი, პალივატე კიკალეიშვილი; სევასტი თალაკვაძე, გიორგი ჩხეიძე, სტეფანე წულაია, ამბერი ლომბერიძე, მიხეილ კიკნაძე.

მე-2 რაიონში.

გვახარია, ოქუჯავა, ბარბარე ჯაფარიძე, მარიამ ეგიკოვისა, ელისაბედ კოლოუბიაკინა, ვასილ კანდელაკი, ივანე ტარაკანოვი, არამ შავერდოვი, მარიამ გუფიკი, ოლღა კიკალეიშვილი, ივანე ფრანგულია, ჯავაირ ხუტულაშვილი, ალექსანდრე ცინცაძე, ალექსანდრე სალარიძე, ვლადიმერ გიგაური, ბორის პენიანი, ა. ბირონოვი, სტეფანე დანდუროვი, ნიკოლოზ მოროზოვი, ალექსანდრე პანტაკა, რუბენ ხაჩატუროვი, მარიამ ნაზარეტიანი, ტატიანე თუმანოვისა, ნიკოლოზ დოლიძე, იოსებ ანბელევიჩი, მარტინ სანდანოვი, ბესარიონ კვირკელია, ისმაილ იობიძე, ალექსანდრე ერქომაიშვილი, ტრაპაიძე, ნიკოლოზ ამირალოვი, პავლე საყვარელიძე, ტეროგანეზოვი, სერგო ხუციშვილი, კამ. წერეთელი, თამარ ცკვიტიშვილი, ბორის ბროდსკი, სტეფანე წულუკიძე, შუშანა გალდავა, მათიევი, კუჭაიძე, ალექსანდრე კობალაძე.

მე-3 რაიონში.

შაჰენ ვართაპეტოვა, გიორგი ვახარია, ვლადიმერ ჯაიანი, ბორის კობახიძე, ეკატერინე კონსტანტინოვიჩი, ვართან მარკარიანი, მარიამ ტეროვანესიანი, დ. ტერ-აზრამიანი, ნინო ხანოიანი, გიორგი ხაჰაპურიძე, იაკიმ ხომერიკი, სტეფანე სტეფანოვი, ანნა აგანასიევა, ილია წივწივაძე, მოსე პეტროსოვი, ლ. ლომთათიძე, თეიმურ ალიევი, არმენაკ აგარონოვი, ევგენია კაფაროვა, ნინო ალაჯალოვა, იერგი გავალოვა, ნინო ბლაგონრავოვა, მარგარიტა კორგონოვა, აკაკი ქავთარაძე, სიმონ მურმანოვი, ტაჯატ ტუტუნჯიანი, ვაგან მანველიანი, გალაქტიონ ვაშაძე, ნიკოლოზ მოხაჯანოვი, ანტონ ტერ-აკოპოვი, იოსებ სოკოლოვსკი, ვასილ ბერიძე, ზაქრო ბაშინჯაგიანი, მარიამ ორახელაშვილი, ალექსანდრე ბეჟანოვი, აგაროდნიკოვი, ჯიტაფიანი, კარპაუდი, არტაშეს ვანციანი, გრიგოლ შახსუვაროვი, ნერსეს ნერსესიანი, ასატურლ ტერ-ვართანიანი, ალექცეფ იუსუპოვი, ვასილ ხაჩატურიანი, ვართან პეტროსიანი, სუსანა ხუდადიანი.

ყველა ზევით ჩამოთვლილ ამხანაგებს წინადადება ეძლევა გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში 3 დღის განმავლობაში სათანადო მანდატების მისაღებად.

თბილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ **ივანოვი.**

საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის კომიტეტი.

წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ საორგანიზაციო განყოფილებაში ლექტორებისა და პასუხისმგებელ პროპაგანდისტების ანკეტის ფურცლების შესავსებლად:

ორახელაშვილი მამია, ერქომაიშვილი ალექსანდრე, რუდაკოვი სერგი, ალაგარლანი მუშეხი, ოკუჯავა მიხეილი, ქავთარაძე სერგო, ნოვიკოვი ისაკ, ლიადოვსკაია, ნუცუბიძე გალაქტიონი, მახარაძე გრიგოლი, ჩიხლაძე სიმონი, მდინარაძე ვარლამი, თალაკვაძე ისიდორე, გეორქიანი არტაშეს, ათაბეგოვი არშაკი, ივანოვი ვლადიმერ, ტოროშელიძე მალაქია, **ბერიძე.** სვანიძე ალექსანდრე, [illegible] ალექსა დრე, ელიავა შალვა, თუმანოვი [illegible] დრო, [illegible] ყურულაშვილი გიორგი, მელიქ-ა ვერდი, [illegible], ტაპეტიანი არამ, გასვიანი ლიდ ალი-ტაგი ზადე, ესენი მარიამი, ორახელაშვილი მარიამი, ამირაგოვი ვან, კალანდაძე თედორე, ბუაჩ ანდრია, ბროცკი, კიკალეიშვი გაუსმანი, ბახუტოვი, ვირაპი.

თბ. კომიტეტის მდივანი ლოლ

სარედაქციო კოლეგია.

სახ. საოპერო თეატრი
ორშაბათი 20 მარტი
წარმოდგენილი იქნება მეტად პოპულიარული ოპერეტა 3 მოქ. მუზ. ვ. პ. ვალენტინოვისა
„ცეცხლის ქურუმი ქალი“

შრომ. სახ. კომისარია
ქალ თბილისის
უმუშევრებს
მონაწილეობენ: პეტროგრადის თ
ტრების პრემიერი ა. ნ. ალექ
დროვსკი ხაჩატურიანი, არტის
ქალი ხ. გ. გერა და სახელმწ
თეატრების არტისტები.
წარმოდგენის შემდეგ
კაბარე-კონცერტი

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთებს თეატრში ჰყიდ

სატრანსპორტო-საექსპედიციო-საკომ
სიო კონტორა ცენტროტრამოტისა
ს. მ. უ. ს.

იღებს რკინის გზებით, ზღვითა და გზატკეცილებით საგზაო ბარგსა და ტვირთს, როგორც დაწესებულებათაგან, აგრეთვე ფირმებისა კერძო პირთაგან.

ღებულობს რკინის გზიდგან ბარგსა და ტვირთს მათი პატრონე დავალებით. იღებს თავის თავზე ტვირთთა გადაზიდვას სადგურებიდ პატრონების ბინაზე და პირიქით და ასრულებს სხვა და სხვა საკომის დავალებებს, დაკავშირებულს ტრანსპორტთან.

3—0

ისტამბება და ამ დღეებში გამოვა
გასასყიდად
იონა ბრიხნიჩოვის ლექსთა მეხუთე წიგნი
„ოგნეპესნი“

წიგნის შეძენა შეიძლება განათლების სახალხო კომისარიატის წიგნის წყობში (რუსთაველის პროსპექტი, ყოფილი ცენტრალური წიგნის მაღაზ ან ამხ. მელიქაძესთან—სახალხო განათლების კომისარიატი („ნარკომპროს ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 5.

2—0

საყურადღებოდ

ყველა პარტიულ ორგანიზაციებისა, საბჭოთა, საზოგადო დაწესებუ ბათა და კერძო პირთა ცხადდება, რომ პოლიგრაფიული განყოფილ სწყვეტს შესრულებულ შეკვეთების გაცემას ხარჯების სრულ გასწორე დის.

ყველა მიღებული შეკვეთები, აგრეთვე ახლად მისაღები, არ იქნებ შესრულებულნი შეკვეთების ნახევარ ღირებულების შემოტანამდის.

ყველა ზემო აღნიშნულ ორგანიზაციათა და დაწესებულებებს წინა დება ეძლევათ, 15 დღის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადებისა, შემო ტანონ პოლიგრაფიულ განყოფილებაში მათგან კუთვნილი თანხები.

პოლიგრაფიულ განყოფილების კოლეგია.

(5—2)

განცხადება

ტფილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის

მიერ დაწესებული კომისია საბიუჯეტო კომისიის, გადასახადების ბიურ და მისი სარაიონო აგენტების მოქმედებათა გამოსაძიებლად აუწყებს ყვე დაინტერესებულ კერძო პირს, მოვაჭრეებს, დაწესებულებებს, საწარმო დაწესებულებებს, რომელთაც აქვთ რაიმე ცნობები, საჩივრები და პრეტ ზიები აღნიშნულ დაწესებულებათა უკანონო მოქმედებების და ბოროტ მედებების შესახებ,—რათა მათ ამგვარები პირადად, წერილობითი სახ შემოიტანონ ზემორე დასახელებულ კომისიაში, რომელიც მოთავსებუ მე-16 №-რ ოთახში ქ. ტფილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტე შენობაში (ყოფილი ქალაქის საბჭო).

(4—3)

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის მე-4 რაიკომი გადავიდა ოლგის ქუჩიდან № 3 თბილისის კომიტეტის ბინაზე (რუსთველის პრ., № 22, მე 3 სართული), ყველა საქმეზე უნდა მიმართოთ ახალი მისამართით.

ტელეფონის ქსელის გამგისაგან

ამით ვაცნობებ თბილისის ტელეფონის ქსელის აბონენტებს რომლებიც სცხოვრობენ, კრილოვის, პასტეროვის, მიხაილოვის და დიდი მთავრის ქუჩებზე, რომ ტელეფონების მოქმედება შეწყვეტილი იქმნება 5 დღით 100 X 2 ჯირგინის დაზიანების გამო.

სახალხო მოსამართლე

ქ. თბილისის მე-2-ე რაიონის იწვევს სახალხო სასამართლოში ევგენი ნიკოლოზის ძე გრიბს, როგორც მოპასუხე მის მეუღლესთან ოლღა ანტონის ასულ გრიბთან, დაბა ბით კოსსობუკო განცხადებულ სა ვარზე მათი განქორწინების შესა დ აფრთხილებს მას, რომ თუ ის თვის განმავლობაში დღიდან ა გამოქვეყნებისა არ გამოცხადდ დანიშნული იქნება საქმე და გა ტანილი დაუსწრებელი დადგენილ

სახალხო მოსამართ
მარ. ჩხეიძე

დაიკარგა

დაკარგული მეტრიკული № 19 სიბრძნისმეტყველების ფაკულტე სტუდენტ ნ. გ. ფარადაშვილ მპოვნელს ვთხოვ მიიტანოს ქართუ უნივერსიტეტის კანცელარიაში.

სალექციო წიგნაკი № 1929 სიბ ძნის მეტყველების ფაკულტეტის სტ დენტ ნინო გიორგის ას. ფარა შვილისა, მპოვნელს ვთხოვ მიიტან სახელმწიფო უნივერსიტეტის კან ლარიაში.

ტირაჟი 10.000

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა. [illegible] ქ. № 4